რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 14 აპრილი 1918 წ.

ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორ ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება ზეიმლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 86 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 86

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА"
ამავ. და თანამგრძნობთ ეხმარებოდეთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ხაშურის წითელ გვარდიის შტაბი ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ხაშურის გვარდიელის
ლავრენტი დოლიძის
გმირულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 10 აპრილს ჩოლოქთან ბრძოლის დროს. (2—1)

რ. ს. დ. ხაშურის ორგანიზაცია გულითადის მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობართ, თავის ერთგულ წევრის
ლავრენტი დოლიძის
გარდაცვალებას, რომელიც მოკლულ იქნა ჩოლოქთან ბრძოლის დროს. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: სერაფიონ სიხარულიძე, ანეტა ქიშვარდის ასული სიხარულიძისა; მუხრან, მადლენა, ანგელინა და თამარა სიხარულიძეები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ცოლის ძმისა, მეორე ძმისა და მესამენი ბიძის უძკირფასესი და დაუვიწყარი
ვანო ქიშვარდის ძის რამიშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომელიც გმირულათ დაეცა ბრძოლის ველზე ბათუმში ოსმალებთან შეტაკების დროს.

უბედურნი: გულნარა, ბარტყულა, გოგონა, შალვა, ხუტუნია, ელენა, ჩიტო, გრიშა და მუცა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის, ხოლო დანარჩენთა საყვარელი და დავიწყარი მამიკოს
ალექსანდრე დიანოზის ძის კალანდაძის
უდროოდ დაკარგვას, რომლის ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ჩოხატაურის ეკლესიაზე 15 აპრილს. (1—1)

გულდამწვარნი და თავზარდაცემულნი დედა ლიუდი ვანიძისა ქარცივაძის ასული, ლეონინე და ძმა მიხაკო, ბიძა დიმიტრი, ბიცოლა ნინო, ბიძაშვილები ვასილ, სანდრო, მარიამ, ემილი და ანეტა ვანიძეები, სიძეები თედორე ცხომელიძე, დათა გოგიბერიძე და ალექსანდრე დოლიძე, დეიდა ბაბილინე აბაშიძისა ქარცივაძის ასული, დეიდას შვილები ვასილ და ქეთო აბაშიძე, ევენგიზ, შუშანიკა და თამარა ჟღენტები, დისწულები ტულიეტა და გრიშა გოგიბერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ბათუმში ოსმალებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა პრაპორშჩიკი
დათიკო ალექსანდრესძე ვანიძე
რომლის ტირილის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში შაბათს 14 აპრილს დღ. 3 საათზე და კვირას 15 აპრილს დღ. 2 საათზე. (2—2)

გულდათუთქულნი: კლიმენტი, მარუსია, ერმოკრატი და როლანდი თალაკვაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ 15 აპრილს დღის 12 საათზედ კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ძმა და დის
აკაკი და იპატიას
სულის მოსახსენებლად. (1—1)

შ. ბათს, 14 აპრილს საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია
თფ. მუშათა და ჯარ.-კაცთა დეპ. საგჯოს
სხდომა

ქართული კლუბი.
დღეს, შაბათს, 14 აპრილს საღამოს, სრულ 8 საათზე გაიმართება
ერეკლე მეორეს გასამართლება
სასამართლოს თავმჯდომარე: გ. ჟურული. წევრნი 1. ივ. ჩერქეზიშვილი, 2. პ. ქავთარაძე. ბრალმდებელნი 1. მოსე ჯანაშვილი, 2 ირაკლი ამირეჯიბი. დამცველნი 1. ივნე გომართელი, 2 გრიგოლ ვეშაპელი. ერეკლე მეორე: შალვა დ. დიანი. ნაფიცნი მსაჯულნი: ვალ. გუნია, რ. გაბაშვილი, დ. კარიჭაშვილი, რ. ინგილო, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, გრ. რობაქიძე, იპ. ვართაგავა, გ. ქიქოძე, კ. მაყაშვილი, დ. კასრაძე, დ. ჯავახიშვილი. სასამართლოს მდივანი: მ. ხერხეულიძე. საზოგადოებიდან გასამართლებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა წინასწარ უნდა განუცხადონ სასამართლოს მდივანს. ბილეთები იყიდება კასაში.

დამოუკიდებლობა

ამერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ თვით პარტიულ ორგანოებშიაც კი ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგიერთა ამხანაგები სეიმის სოც.-დემ. ფრაქციის მიერ დამოუკიდებლობისთვის მხარის დაჭერა მარქსიზმის ღალატათ მიაჩნიათ.

ამ ჯურის ამხანაგებს ამა თუ იმ ხალხის თუ მხრის დამოუკიდებლათ გამოცხადება ადამის ცოდვათ მიაჩნიათ და ამაში ისჯნი მეცნიერული სოციალიზმის ფეხქვეშ გათელვას ხედავენ. მათთვის მარქსიზმი უბრალო რუტინათ გადაქცეულა და მისი თვალსაზრისი, მი ი კვლევითი მეთოდი ოდნავათაც ვერ შეუთვისებიათ. სწორეთ ასეთ ვულგარულ მარქსისტებზე ითქმის მარქსის მიერ ნათქვამი: ყველაფერი დამწამეთ და მარქსისტობას კი ნუ დამწამებთო. თითქოს მარქს ენგელსის მსოფლ-მხედველობა, მათი მოძღვრების დედაარსი ამა თუ იმ ხალხის დამოუკიდებელ ცხოვრებას პრინციპიალურათ ეწინააღმდეგებოდეს და თითქოს მარქსსა და ენგელსს პირველათ არ წამოეყენებიოთ უმაღლესი პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა.

ამ შემთხვევაში ეს პრინციპი უბრალო სიტყვა არ არის, იგი სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში სადეკორაციოთ არ არის შეტანილი. იგი დროს და გარემოების მიხედვით ამა თუ იმ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ფორმას ღებულობს და პრაქტიკულათ ხორციელდება.

მარქს-ენგელსის მოძღვრება სოციალურ-ეკონომიური შეხედულებაა, კლასთა ბრძოლის საკითხსა და სხვა საკითხები მისი ზედნაშენია. თვით ნაციონალური პრობლემა თანამედროვე პირობებში სწყდება იმდენათ და იმ გვარად, რამდენათაც უკანასკნელი კლასთა ბრძოლას არ აფერხებს და პროლეტარულ მოძრაობას ხელს არ უშლის.

ამიტომაც იყო, რომ თვით მარქსი, ენგელსი და მათი საუკეთესო მიმდევრები სხვადასხვა პირობებში ამა თუ იმ ერის თვითგამორკვევას სხვადასხვა ფორმას აძლევდენ და პირობების მიხედვით სწყვეტდენ.

ჯერ ისევ პირველ ინტერნაციონალის დროს კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი პოლონეთის დამოუკიდებლობას მოითხოვდენ. ძველ ინტერნაციონალში გენერალურ საბჭოში, რომლის თავმჯდომარე მარქსი იყო—მან პოლონეთის გაერთიანება და მისი დამოუკიდებლობა საქვეყნოთ აღვიარა და მას მერე ყველა სოციალისტურ კონგრესებზე ამასვე მოითხოვდენ, არამც თუ პოლონეთი, ისეთი წვრილი ხალხები, როგორიც კი არიან მთიულები, ძველი ინტერნაციონალის ყურადღებას იქცევდა და იქ შამილის ომის დროს მარქსის სიმპატია ლეკებისაკენ იყო, ამ დროს ინტერნაციონალმა რუსეთის დაპყრობით პოლიტიკის შესახებ შესაფერი პროტესტი განაცხადა და მთიულების დამოუკიდებელი ცხოვრება მოითხოვა.

ამასვე ვხედავთ ბალკანეთის ერების შესახებ, რომლებიც ოსმალეთის დესპოტიის უღელ ქვეშ წარმოუდგენლათ იჩაგრებოდენ. მართალია მაშინ ლასალი ცოტა სხვა აზრისა იყო და ბალკანეთის წვრილი ერების დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკას ეჭვის თვალით უცქეროდა, მაგრამ მარქს-ენგელსი და შემდეგში კარლ კაუცკი ბალკანეთის ერების დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკას საუკეთესო გზათ სთვლიდენ და ამ გზით უნდოდათ ბალკანეთში კლასობრივი ბრძოლის მკვიდრ ნიადაგზე დამყარება.

კარლ კაუცკი ირლანდიის შესახებ და მის განთავისუფლებაზე ბევრს ლაპარაკობდა, ნორვეგიასა და შვეიცის დამოუკიდებლობა და მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ გამოცხადება სოციალ-დემოკრატიულ პრესაში არ გაკიცხულა, პირიქით ყველგან მოწონებული დარჩა,

ერთი სიტყვით, სოციალ-დემოკრატიული პროგრამა და მისი მსოფლმხედველობა პრინციპიალურათ წინააღმდეგი არ ყოფილა და ამა თუ იმ ერის დამოუკიდებლობას მის დროს და გარემოების მიხედვით სწყვეტდა.

მაგრამ დღეს ყველა ეს ზოგიერთმა ამხანაგებმა დაივიწყეს მარქსიზმის ისტორიას ზურგი შეაქციეს და ისინი იმავე სახით გვებრძვიან, რა სახითაც არა მარქსისტები, და მათი არეული მემარჯვენე წრეები რუსებისა. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობამ აღაშფოთა უკანასკნელი ტიპის არა მკითხე სოციალისტები და მათ ეხმაურებიან თითო-ოროლა ჩვენი ამხანაგებიც. ზოგიერთ სოციალისტ-რევოლიუციონერებს კიდევ არ ეძახებათ ასეთი საქციელი, მათი ერთი საგრძნობი ნაწილი აქ რუს ბიუროკრატების სახით მოგვეელინა და სოციალისტური ნიღაბი განგებ აქვს ჩამოფარებული. მაგრამ ამით ისინი შეცდომაში ვერავის შეიყვანენ. ჩვენ კარგათ ვიცით მათი სულისკვეთება და სოციალისტობის ფასი. აქ პრინციპიალური შეცდომა ჩვენ არ ჩაგვიდენია და თუ ეს ვისმე გონია, დაგვიმტკიცოს საბუთებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თვით ეს მოწინააღმდეგენი არიან ნაციონალისტური სულისკვეთებით აღტურვილნი და ბურჟუაზიულ-შოვინისტურ გავლენას ექვემდებარებიან.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა და დემოკრატიის ერთობა

სულ რამდენიმე დღეა, რაც ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ რესპუბლიკათ იქნა გამოცხადებული, მაგრამ მას უკვე მრავალი მტერი გამოუჩნდა. გარეშე მტერზე არას ვამბობთ, რადგან ჩვენ ბურჟუაზიულ წყობილებაში ვცხოვრობთ და ამიტომ მუდამ იმის მოლოდინში უნდა ვიყოთ, რომ რომელიმე მეზობელი [illegible] მოხერხებულ მომენტში იერიშით წამოვა ჩვენზე და მონობის უღელს დაგვადგამს. ყველაზე უფრო საშიშ მეზობელს ჩვენთვის დღეს ოსმალეთი წარმოადგენს. მას, ეჭვი არ არის, დიდი სურვილი აქვს ამიერ-კავკასიის დაპყრობის, მაგრამ ამავე დროს მან კარგათ იცის, რომ საკუთარის ძალღონით ვერ შესძლებს ამ მიზნის განხორციელებას. ვფიქრობთ, გერმანიის ინტერესსაც არ შეადგენს ის, რომ ისეთი მდიდარი და სტრატეგიულის მხრით მნიშვნელოვანი კუთხე როგორიც ამიერ-კავკასია არის, ოსმალეთს ჩაუვარდეს ხელში. ცხადია, ასეთს პირობებში ოსმალეთი და მის უკან მდგომი გერმანია ადვილათ შეურიგდებიან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, თუ რასაკვირველია, ჩვენ თითონ არ მივსცემთ მათ საშუალებას და საბაბს, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეებში ჩაერიონ. ასეთი საშუალება იქნება მტრისთვის ჩვენი სამხედრო სისუსტე, ხოლო, საბაბი შინაური ანარქია და უწესობა. სასტიკათ სცდებიან ის პესიმისტები, რომელნიც ფიქრობენ,—სულ ერთია ჩვენი სამხედრო ძალით მტერს ვერას დავაკლებთ და ამიტომ თავდაცვაზე ხელი უნდა ავიღოთო. ეს სამართლე იქნებოდა იმ შემთხვევაში ოსმალეთს რომ ომის დაუშრეტელი წყარო მოეპოებოდეს, და რადგან ეს ასე არ არის, ცხადია, ოსმალეთი უკეთეს შემთხვევაში უნდა დაეყრდნოს ამიერ-კავკასიაში არსებულ ძალებს. ამიტომ სამხედრო ძალის შემდეგ ჩვენი დამოუკიდებელ არსებობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ჩვენი ერთობა, ამიერ-კავკასიის საზღვრებში მცხოვრებ ყველა ერების სოლიდარული მოქმედება.

საუბედუროთ, სწორეთ აქედან მოელის ჩვენს დამოუკიდებლობას უსაშიხელესი საფრთხე, აქ შეიძლება გაიღესოს პირველი მახვილი ჩვენი რესპუბლიკის გასაგმირავათ.

რევოლიუციის და დემოკრატიის მტრები კარგათ გრძნობენ, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ნორჩ რესპუბლიკისათვის ერთობა და ერთა სოლიდარობა და ამიტომ მათი პირველი იერიში აქეთკენ არის მიმართული. თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ ესენი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, უბრალო ქუჩურ ჭორებიდან დაწყებული თავაშვებულ ცილის წამებამდე.

როცა ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ აშკარა ანტიდემოკრატიული ელემენტები, როცა იმპერიალიზმის მოტრფიალე კადეტები და მუქთა ხორობას შეჩვეული რუსი მოხელეები დემოკრატიულ სამოსელში ეხვევიან და ისე გვებრძვიან, ჩვენ ეს არ გვაშინებს, არ გვაშინებს აგრეთვე ეგრეთ წოდებული ბალშევიზმი, რადგან მისი დამღუპველი და გამყიდავი მოღვაწეობა ერთობ თვალსაჩინოა ყველასათვის, რომ ვინმე შეცდომაში შევიდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თითონ ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლამ ასე იდილიურათ შეაერთა ყველა ჯურის შავ-რაზმელები და ბიუროკრატები ერთის ეზრით, ხოლო მემარცხენე სოციალისტ - რევოლიუციონერთა და ბალშევიკების მცირე ჯგუფი მეორე მხრით საუკეთესო მაჩვენებელია ამ ხალხის კონტრ-რევოლიუციონური სულისკვეთების. და რამდენათ ძლიერია ამ ვაჟბატონების ცინიზმი და უსირცხვილობა, იმდენათ სასტიკი და მოურიდებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ მათ წინააღმდეგ. ყოყმანი და ორეოფობა აქ დასაშვები არ არის.

მაგრამ ჩვენ გვაფიქრებს მეორე გარემოება. დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეგნებულათ თუ შეუგნებლათ მიდიან ზოგიერთი პარტიები და ჯგუფები, რითაც სოლიდარულ მუშაობას ძირს უთხრიან და ნორჩ თავისუფლებას სამარეს უმზადებენ.

რისი და ვისი იმედი აქვთ ამათ? რატომ არ ჩაუფიქრდებიან თავის ავანტიურისტულ ნაბიჯებს, რომელსაც შეუძლია საფრთხეში ჩააგდოს მთელი ერის ფიზიკური არსებობა?

გადაჭრით უნდა განვაცხადოთ: რამდენათ ძლიერი იყო თავის დროზე ჩვენი სურვილი რუსეთის დემოკრატიასთან ერთად დარჩენის, იმდენათვე ძლიერია ჩვენი სურვილი ამიერ-კავკასიის მთლიანობისა. როგორც ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, ისე პოლიტიკურის და სტრატეგიულის მოსაზრებით ჩვენ თავგამოდებით ვესარჩლებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ერთობას, ამ რესპუბლიკის საზღვრებში მოსახლე ერების სოლიდარულ მუშაობას. მაგრამ თუ რომელიმე ერის გაბატონებული ნაწილი ამ ჩვენ განზრახვას შეგნებულათ შეუშლის ხელს, ჩვენ იძულებული ვიქნებით მის ასეთს მოქმედებას სასტიკათ შევებრძოლოთ. და ამით უველაზე მეტათ წააგებს დემოკრატია, თუ კი ის შეუგნებლათ გაჰყვება გაბატონებულ კლასების გამთიშველ ნაბიჯებს. და თუ ჩვენი ასეთი მისწრაფება და ბრძოლა ნაყოფს ვერ გამოიღებს, ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაირღვევა და მის შემადგენელ ერებს საკუთარ ფეხზე დადგომა მოუხდება.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამიერ-კავკასიის ერები, უმთავრესათ ამ ერების დემოკრატია შეიგნებს ერთობის საჭიროებას და საერთო ძალ-ღონით შეეცდება რევოლიუციის და თავისუფლების დაცვას.

დემოკრატიას დიდი სიფხიზლე და გამჭრიახობა მართებს.

პრესა

ზოგიერთებს ძალიან უკვირთ, რატომ დიდი სიხარულით და ზეიმით არ შეხვდა ხალხი დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რატომ შესაფერისათ არ ვდღესასწაულობთ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზმის მკვდრეთით აღდგომას. „საბალხო საქმე"-ში ბ. ქ. რაჭველიშვილი ასეთ პასუხს იძლევა:

„ჩვენ მოვიღალეთ და სიხარულის ენერგიაც აღარ შეგვწევს. ჩვენ დავიქანცეთ და ისე შევეჩვიეთ ბედის ცვალებადობას, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია სასიკეთო რამ დაგვემართოს"... მაგრამ ეს პასუხი არ აკმაყოფილებს თვით ავტორს და ის უმატებს:

„ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, შეიძლება იგი უფრო მკაცრიც იყოს მომავალში. ხალხი ამას გრძნობს ინსტიქტურათ, და დაფიქრებულია".

სრული სიმართლეა: ხალხი მართლა დაფიქრებულია, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ მას ბრძოლა მოუხდება, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის ჩამოშორების შემდეგ თუ დამოუკიდებლობა ვერ შევარჩინეთ, ოსმალეთის უღელი მოგველის. ეს არის მიზეზი, რომ „შესაფერისათ არ ვდღესასწაულობთ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის მკვდრეთით აღდგომას".

* * *

„ვოზროჟდენიე" სიხარულით ფეხზე აღარ დგას—მენშევიკური სომხური გაზეთი „ფაიქარი" დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებსო. მას მოყავს „ფაიქარი"-ს წერილი ამის შესახებ და თავის მხრით დასძენს:

„ასე აცხადებს პროტესტს სომხური გაზეთი „ფაიქარი", რომელიც ქართულ გაზ. „ერთობის" დახმარებით გამოდის და ახლა კი დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება თავის ამხანაგს.

ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია პასუხი გავცეთ „ფაიქარს". დეე თითონ „ერთობა"-მ უპასუხოს და განმარტოს რა იქნა მათი მთლიანი სოციალდემოკრატიული (მენშევიკური) ფრონტი?

ყველაფერი ეს ჩვენ წინდაწინ გვქონდა გათვალისწინებული და არა ერთხელ მივუთითეთ მენშევიკებს, თუ რამდენათ სანდონი იყვენ მათი ამხანაგები „ფაიქარი"-დან. ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვესმის ერთი რამ: როგორ მოხდა, რომ „ამხანაგი" ერზიკიანი, „ფაიქარი"-ს ფაქტიური რედაქტორი და ხელმძღვანელი, პოლიტიკურ ტალახს ესვრის თავის „ამხანაგ" ჩხენკელს და იმავე დროს მის კაბინეტში კია მოკალათებული, როგორც შრომის მინისტრი! განა ეს დასაშვებია?".

ჩვენ ვეკითხებით „ვოზროჟდენიე"-ს ხელმძღვანელს: მართლა დასაშვებია თუ არა სხვის საქმეში ჩაერიო, როცა ამ სხვის საქმის ასავალ-დასავალი არ გაგებება? რომელ ადამიანურ მოსაზრებით ასახინჯებს „ვოზროჟდენიე" სინამდვილეს და ერზიკიანი „ფაიქარი"-ს ფაქტიურ რედაქტორათ და ხელმძღვანელათ გამოაჭყავს, როცა „ფაიქარი"-ს ხელმძღვანელი სულ სხვა პირია. რატომ სიტყვა „ამხანაგი" ერზიკიანის შესახებ ფრჩხილებში ჩაუსვამს „მოქალაქეს" „ვოზროჟდენიედან".

გარდა ამისა საჭიროთ ვთვლით ვაცნობოთ „ვოზროჟდენიე"-ს და სხვა პატივცემულ მეჭორეთ, რომლებმაც ჩვენი პარტიის რესკოლიც კი გამოიგონეს, რომ „ფაიქარის" წერილი გამოწვეული იყო უბრალო გაუგებრობით, რადგან კერძო პირის წერილი შეცდომით ხელმოუწერელათ იქნა გაშვებული, როგორც სარედაქციო და ამიტომ მათი სიხარული ჩვენი მთლიანი ფრონტის დარღვევის შესახებ ერთობ ნაადრევია.

* * *

კონსტიტუციონალურ დემოკრატიულ (კადეტების) პარტიის გაზეთი „ნაროდნაია სვობოდა" ურჩევს ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუსებს—თქვენ ადგილებს ნუ დასტოვებთ და რუსეთში ნუ გადასახლდებითო. ჯერ სეიმს არ გადაუწყვეტია ქვეშევრდომობის საკითხი და შესაძლებელია ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუსებს ნება მიეცეთ რუსეთის მოქალაქეებათაც დარჩენ და აქაც რესპუბლიკის სრულუფლებიანი წევრები იყვენონ.

კადეტების ასეთი აზრი ჩვენ არ გვაკვირვებს, რადგან არავინ არ არის შეზღუდული ოცნების სფეროში, მაგრამ არ შეგვიძლია ჩვენი განცვიფრება არ გამოვთქვათ იმ მოსაზრების გამო, რომლითაც რუსებს ეპატიჟება გაბეთი:

„ამიერ-კავკასიის გამოცალკევებას ჩვენ ისე ვუცქერით, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადამავალ და გამხრწნელ საფეხურს. ჩვენ მუდამ იმ აზრის ვიყავით, რომ ჩვენ იმდენათ ღრმათ, ისტორიულათ და კულტურულათ შეკავშირებული ვართ რუსეთთან, რომ ჩვენ რუსეთს გარდა სხვა გზა არ გვაქვს...

უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ ამიერ-კავკასია ისევ უმტკივნეულოთ შევიდეს რუსეთის საზღვრებში და სწორეთ ახლაა საჭირო აქ დარჩენა და შესაერთებლათ მუშაობა".

ასე ფრთხილათ და ზრდილობიანათ მოუწოდებს „ნაროდნაია სვობოდა" რუსებს აქ დარჩენას, მაგრამ არა საერთო კულტურულ მუშაობისათვის, არამედ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის ძირის გამოსათხრელად.

ასეთსავე კამპანიას განაგრძობს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ესერთა ჯგუფის გაზეთი „ზნამია ტრუდა" იმ განსხვავებით, რომ მას საკვლევი შეუთვისებია ყოფილ ბალშევიკების ყოფილ ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი"-ს კილო, მოწოდებას სეიმის და დამოუკიდებლო-

ბის წინააღმდეგ ის უმატებს ცილისწამებით სავსე მოწოდებას წითელ გვარდიისადმი: „ამხანაგო მუშებო და გლეხებო! სახელოვნო წითელო გვარდიავ! ხანებს და ბეგებს უნდა გამოგიყენონ თქვენ ბაქოს პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ ამას არ იზამთ“.

მკითხველს ალბათ ახსოვს „კავკაზსკი რაბოჩი“-ს სისხლიანი მოწოდება ეშელონებისადმი, ახსოვს ალბათ ისიც, რომ როცა წითელმა გვარდიამ ცხინვალის დამრბევთა წინააღმდეგ გაილაშქრა, „ზნამია ტრუდამ“ მაშინ წითელ გვარდიას ოსების წინააღმდეგ გალაშქრება დააბრალა, ანარქიის წ ნააღმდეგ მებრძოლ გვარდიის სახელი ტალახში ამოსვარა. დღეს ის ამავ გვარდიას „სახელოვანს“ უწოდებს და ურჩევს ბაქოს პროლეტარიატს არ ებრძოლოს, თითქოს ვინმეს მართლა გადაეწყვიტოს პროლეტარიატის ხოცვა.

როდემდის გააგრძელებს „ზნამია ტრუდა“ ცილის წამებ ს და დემაგოგობას?

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲘᲓᲐᲜ

ბათუმის დაცემის შემდეგ.

ბათუმის დაცემამ მასაში რეაქცია გამოიწვია.

ამ რეაქციას ყოველი ჯურის პროვოკატორი ხელს უწყობს და აღრმავებს.

წუწუნი-მოთქმა-გოდება დღეს უიმედოთა იარაღათ გამხდარა და ვერ გრძნობენ, რომ ამით ლახვარს სცემენ თავდაცვის საქმეს, უნებურათ მხარს უჭერენ რღვევა-ნგრევას და რევოლიუციის პრესტიჟის დაცემას.

და ეს მაშინ, როდესაც რჩეული ნაწილი ქართველი მშრომელი ხალხისა დღესაც ბრძოლის ველზე სდგას, ოსმალეთის ურდოებს უმკლავდება, სისხლსა ღვრის.

იმის მაგივრათ, რომ თვითეული სიტყვა გამამხნევებელი იყოს, იმის მაგივრათ, რომ ყველას აზრი ერთი მიმართულებით მუშაობდეს თავდაცვისთვის; იმის მაგივრათ, რომ საქმით ყველა ხელს უწყობდეს მებრძოლ ჯარს; იმის მაგივრათ, რომ რევოლიუციონურ მებრძოლ ორგანიზაციებს თავდაცვითი ბრძოლაში ხელს უწყობდენ, მებრძოლ ჯარს ზურგს უმაგრებდენ, მთელი სულით და გულით, მთელი საქმით მას ეხმარებოდენ, გამომდგარან ლაჩრები და ქუჩაში, დაწესებულებებში წუწუნისა და ლანძღვა-გინების მეტს არას აკეთებენ. სულმოკლენი, ლაჩარნი დღეს, როდესაც ჩვენი ჯარი იბრძვის, შეტევაზე გადადის, დახმარების მაგივრათ ისეთ სულიერ ატმოსფერას ქმნიან, რომ ბრძოლის უნარს და ხალისს ართმევენ მათ, ვინც მზათ არის სამშობლოსა და რევოლიუციის დასაცავათ ფრონტზე გაემგზავროს.

ვინ უარყოფს იმას, რომ ომის ორგანიზაცია დღეს სუსტათ გვაქს მოწყობილი; ვინ უარყოფს, რომ ჯერ ჯერობით სათანადო სამხედრო პირობებში არაა ჩაყენებული თავდაცვის საქმე; ვინ უარყოფს, რომ ჯერ კიდევ მრავალი სუსტი ხხარეები გვაქვს, მაგრამ წუწუნით, გოდებით შეიძლება მისი გასწორება, საქმის გაუკეთესება? პირიქით, ეს წუწუნი, ეს უიმედობა თავდაცვის საქმეს ხელს უშლის, თავდაცვის საქმეს ანადგურებს, მასაში საშინელი დეზორგანიზაცია შეაქვს; მასაში სრულ გაკოტრების იდეას ბადებს, და ეს მაშინ ვიხილეთ, როდესაც ჯარს ფრონტზე გული ტყვიისკენ აქვს მიშვერილი, ეს მაშინ, როდესაც იგი თავდადებულათ იბრძვის და საზღვრებზე თავისი სიცოცხლე მიაქვს შესაწირავათ.

არ გაქვთ ნება, არავის არა აქვს უფლება, რომ თავისი პესიმისტური და დეზორგანიზატორული მოღვაწეობით უკნიდან, ზურგიდან მახვილი ჩასცეთ საუკეთესო ჩვენს მებრძოლ ჯარს. არა გაქვთ ნება, რომ მასაში გახვიდეთ და თქვენი წუწუნით იგი სულით ძირს დასცეთ, სრულიად იმედი დაუკარგოთ.

ამის ნება არავის არა აქვს; ამის ნებას არავის მისცემს ის ჯარი, რომელიც დღეს იარაღით ხელში იცავს საქართველოს.

უნდა დავეხმაროთ მებრძოლ ჯარს. უნდა დავეხმაროთ მას ყოველ ხხრივ. ომია და ომს დროს დამაცხებაც და გამარჯვებაც ორივე მოსალოდნელია. დამარცხებს დღეს ტირილი კი ვერ გვიშველის, არა, გვიშველის მხოლოდ ძალთა გამაგრება გაკეთება, სულით აღტყინება და მთელი აზრით, საქმით იქითკენ მუშაობა, რომ ხელი შევუწყოთ, დავეხმაროთ ყველაფრით მებრძოლ ჯარს.

ყველაფერი მას უნდა მოვახმაროთ, ყველაფერი მას უნდა შევწიროთ,—აი გამარჯვების საწინდარი.

აი საწინდარი მისა, რომ შეძლება გვექნეს საპატიო ზავით შევეკრათ მოწინააღმდეგეს. („ს. დ.“)

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

(ოფიციალური ცნობა).

18 აპრილი.

ზავ ზღვის პირის მიმართულებით დროებით შერიგება არ დარღვეულა.

ჯრის რაიონში 11 აპრილს ოსმალებმა შემოტევა დაიწყეს ჩვენი რაზმის მარცხენა ფრთაზე. ჩვენს რაზმს პოზიციები ჰქონდა დაკავებული სოფ. მაცრის სამხრეთ დასავლეთიდან; ეს სოფელი ყარსის სამხრეთით მდებარეობს. აქ ოსმალებმა ჩვენი რაზმი შეავიწროვეს და მიაღწიეს ყარსის გზატკეცილამდე, საიდანაც რკინის გზის ლიანდაგს სროლა დაუწყეს. აქ ჩვენს ჯარს მაშველმა ძალამ მოუსწრო, მტერს დავახევინეთ და ჩვენმა ჯარმა დაიკავა ჩახლახ ბაშის სიმაღლეები, „ჯრომელიც მაცრიდან სამხრეთ დასავლეთით 8 ვერსზე მდებარეობს.

ყარსიდან ცნობა არ მოსულა.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲢᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

კუხი. 21 მარტს გლეხთა საბჭოს მოწვევით მოხდა კრება კუხის საზოგადოების მცხოვრებთა თავდაცვის საკითხის გამო. კრებას დაესწრენ ბათუმის რევოლიუციონური დაწესებულებათა და მომქმედი ჯარის დელეგატები—ამხ. შალვა სამსონაძე და ლუკა ცინცაბაძე, რომელთაც აუხსნეს კრებას დღევანდელი საზოგადოთ რუსეთის მდგომარეობა და კერძოთ ჩვენი ქვეყნის. მათ ნათლად წარმოუდგინეს კრებას ის სურათები, თუ რა მოელის ჩვენს მხარეს და ოჯახებთ ოსმალთა შემოსევისაგან და მოუწოდეს კრებას მათაც გაეგზავნათ თავდასაცავათ ის ახალგაზდები, რომელთაც სეიმის მიღებული კანონით უწევთ ჯარში გასვლა. კრებამ მიიღო შემდეგი შეზოლიუცია: „კუხის საზოგადოება, მოისმინა რა ამხ. დელეგატების მოხსენება, ადგენს: ვისაც იარაღის ტარება შეუძლია გაემგზავროს ფრონტისაკენ, შეუერთდნენ იქ მყოფ ამხანაგებს და მათთან ერთათ დაიცვან რევოლიუცია და სამშობლო, ან და იქ დახოცონ გმირულათ“. წინადადება მიეცა, ვისაც უწევს წასვლა, ან არ უწევს და სურვილი აქვს წასვლისა, მოემზადონ სამ დღეში, ხოლო ამ სამ დღეს მორიგი საბჭოს აღმას. კომისიის წევრები აწარმოებენ მიღება-ჩაწერას სამმართველოში.

კრების დაშლის შემდეგ გაგრძელდა გლეხთა საბჭოს სხდომა, რომელშაც სხვათა შორის მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კუხის საზ. გლეხთა საბჭო სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის სეიმს, უსურვებს მას ხალხის საკეთილდღეოთ მუშაობას და მთელი თავისი ძალ-ღონით ეცდება ცხოვრებაში გაატაროს სეიმის მიერ გამოცემული კანონები“.

ᲡᲐᲐᲓ.-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. 1 აპრილს ქ. გორიდან ქარელში ჩამოვიდნენ ამიერ-კავკ. სეიმის მიერ დანიშნული ეშისარი შ. ჯავახიშვილი, მიწათ მოქმედების სამინისტროსაგან და გლეხთა ცენტრისაგან დანიშნული რწმუნებული ი. გ. ბოლქვაძე და გორის მაზრის თავდაცვის კომიტეტისაგან კ. არველაძე. საღამოს ქარელში მოხდა გლეხთა საბჭოს კრება, სადაც ამხ. ი. ბ—ძემ აუხსნა კრებას 7 მარტის სხდომაზე სეიმისაგან მიღებული ახალი მიწის კანონი. კრება კმაყოფილი დარჩა ახალი მიწის კანონით და გადაწყვეტა მეორე დღისთვის ქარელისა და რუისის საზოგადოებაში მიტინგის მოწვევა. მეორე დღეს ზემო მოხსენებული ამხანაგები გაემართენ რუისის საზოგადოებაში, რომელიც ახლავს ქარელის სადგურს, დაახლოებით 5 ვერ. ს. რუისში თავი მოეყარა 5 სოფლის მცხოვრებლებს დაახლოებით 400 კაც. პირველათ ამხ. შ. ჯავახიშვილის წინადადებით მიტინგმა ქუდის მოხდით პატივი სცა ცხინვალში გმირულად დაღუპული ს. კეცოველის, გ. მაჩაბლის და მათთან დაღუპულ წითელ გვარდიელების ხსოვნას და შემდეგ მგრძნობიარე სიტყვებით განუმარტა კრებას თანამედროვე მომენტის სირთულე და ყოველივე ის მხარეების, თუ საიდან და რა მხრით მოელის რევოლიუციას და სამშობლოს დაღუპვა.

შემდეგ ამხანაგი ი. ბ—ძემ დაწვრილებით აუხსნა კრებას ახალ გამოცემული მიწის კანონი და ყოველივე ის მიზეზები, რაც აბრკოლებდა დღემდე გლეხებზე მიწების გადაცემას და აგრეთვე კრებისაგან იყო რამოდენიმე შეკითხვები მიწების შესახებ, რაზედაც მომხსენებლისაგან მიიღო შესაფერისი განმარტება და ბოლოს ამხანაგი ი. ბ. მოუწოდა კრებას, რომ რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლების და მიწების შესანარჩუნებლათ ყოველივე საშვალებით უნდა ვებრძოლოდ გარედან მოზღვავებულ მტერს და აგრეთვე შიგნით ყოველგვარ ანარქიას და პროვოკატორების მოქმედებას. კრებამ აღუთქვას ყოველგვარი დახმარება მამულების ჩამომრთმევ კომისიას, რომ დაჩქარებით იქნას გატარებული ცხოვრებაში მიწის რეფორმა აგრეთვე მხარის დაჭერა ამიერ-კავკ. სეიმს და მთავრობას. შემდეგ ამხ. კ. არველაძემ აუხსნა მიტინგს მობილიზაციის კანონი და მისი აუცილებლობა. ხალხი სრული შინაგრძნობით შეხვ. და მობილიზაციის აუცილებლობას და ერთხმად დაადგინა მიტინგმა პირველ მოწოდებისთანავე მზათ იყვნენ რევოლიუციისა და სამშობლოს დასაცველათ.

ამ დროს გაზეთმა სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: ბათუმი მტერმა დაიკავაო, რაიც გამოუცხადეს მიტინგს. ამ გამოცხადების დროს ხალხის სულიერი მდგომარეობა ისეთი შეიქნა, რომ ეხლა უკვე მიდიან პოზიციაზე და როგორც ერთი კაცი, მიტინგი გრიალებდა: გაუმარჯოს რევოლიუციონურ ჯარს, გაუმარჯოს სეიმს და მთავრობასო. და ბოლოს აირჩიეს სამზრუნველო კომისიები თითეული სოფლისაგან 3 კაცი, რომლებსაც ევალებათ ფრონტზე წასული ამხანაგების ოჯახების დახმარება. საზოგადოთ მოსულ ამხანაგებზე რუისის საზოგადოებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ნასიამოვნები გაემგზავრენ ქარელის საზოგადოებაში, სადაც მიტინგი უცდიდა.

ქარელში თავი მოეყარა რამოდენიმე სოფლებისაგან დაახლოებით 200 კაცს. იქ ამხ. ბ. ჯავახიშვილმა აუხსნა მიტინგს ბათუმის მტრისაგან დაკავება და ბალშევიკების დამღუპველი პოლიტიკა და მოუწოდა კრებას მიწის კითხვის დროებით გადადება და ყოველივე მხრით ხელის შეწყობა მობილიზაციის. აგრეთვე ამხ. კ. არველაძემ და ი. ბ—ძემ მოუწოდა კრებას რუისის საზოგადოებისთვის მიბაძვა და სამზრუნველო კომისიის არჩევა. ამ დროს ადის ტრიბუნაზე რამოდენიმე მობალშევიკო ნასალდათევი პირები და აცხადებს, რომ „ჩვენი ამხანაგები 3 კაცი დატყვევებულია გორში და რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გადაუწყვიტა (მგონია, თუ არ ვსცდები) 4 წლის კატორღა თითოსო“, და მოუწოდა ხალხს ამაზე დაუყოვნებლივ დადგენილების გამოტანა, თორემ ისე არც ერთი ფრონტზე არ წავალთო. დაბოლოს ეს პირები დაარწმუნეს, რომ ამ კითხვას დღევანდელ კრებასთან კავშირი არ აქვსო და ბოლოს აქაც აირჩიეს სამზრუნველო კომისია 6 კაცისაგან, 4 ქართველი, ორი ებრაელი და აღუთქვეს უფლებებიო, რომ უზრუნველ ჰყონ უპატრონოთ დარჩენილი ოჯახები.

ი. ჯვარცხმელი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ ამხ. ირ. წერეთლის მოხსენების შემდეგ დემოკრატიულ კლუბში მუშტაიდში 11 აპრილს შემდეგი რეზოლიუცია იქნა მიღებული: „რ. სოც. დემ. მუშ პარტიის პირველი რაიონის წევრთა მუშების კრებამ განიხილა რა კითხვები ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ—აღიარებს, რომ შექმნილ პოლიტიკურ პირობებში, როცა ერთის მხრით ამიერ-კავკასიას ემუქრებიან ოსმალთა იმპერიალისტები, ხოლო მეორეს მხრით ბალშევიზმის ანარქისტული, გამანადგურებელი ძალები, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა არის ერთად ერთი გზა დემოკრატიის გადარჩენისა ამიერ-კავკასიაში. ამიტომ კრება მოუწოდებს მუშათა კლასს და მთელ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას დაიცვას რევოლიუცია გარეშე და შინაურ მტრებისაგან“. ამ კრებას დაესწრო 1000-მდე მუშა და ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

ოსმალეთის საზავო დელეგაცია. ზოგიერთ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, თითქოს 13 აპრილს ღაბე თფილისში ოსმალეთის საზავო დელეგაცია ჩამოსულიყოს, სიმართლეს მოკლებულია. ოსმალეთის დელეგაციის ჩამოსვლა თფილისში არ არის მოსალოდნელი.

მომრიგებელი სასამართლოები მთავრობას წარედგინა ქალაქის თვითმართველობის მიერ შემუშავებული პროექტი ქალაქის მომრიგებელ სასამართლოების შესახებ. წინად განზრახული იყო მთელი ქალაქის 25 ნაწილად დაყოფა ეროვნულის პრინციპით. ქალაქის თვითმართველობამ და იურიდიულმა კომისიამ ეს შეუძლებლად სცნო, რადგანაც ნამდვილი სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება და ამას გარდა მცხოვრებნი ქალაქის ნაწილიდან მეორეში გადადიან. პროექტის მიხედვით ქალაქი უნდა დაიყოს 5 დიდ რაიონად, თითოულში უნდა დაინიშნოს ერთ-ერთი ადგილობრივი ენის მცოდნე მოსამართლე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა გზათა მიმოსვლის მინისტრს დეპეშით შეატყობინა, რომ სამტრედიის ქალაქის თვითმართველობამ რკინის გზის ადმინისტრაციის გაუგებლათ რკ. გზის მოსამსახურეებს ბინა დაატოვებინა. ამის გამო რამდენიმე მოსამსახურემ ანგარიში მოითხოვა. რკინის გზის უფროსი სთხოვს მინისტრს განკარგულება გასცეს, რომ მოსამსახურეებს ბინები დაუბრუნონ.

10 მილიონი სესხი. თფილისის ქალაქის თვითმართველობამ მთავრობას 10 მილიონი მანეთი სთხოვა უპროცენტო სესხის სახით 3 წლის უადით ქალაქის სასურსათო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. შუამდგომლობა განსახილველათ სასურსათო სამინისტროს გადაეცა.

საოლქო შრომის ბირჟა. რადგანაც ღიღრა საკითხი საოლქო შრომის ბირჟის გაუქმების შესახებ, შრომის სამინისტრომ ბირჟის გამგეს წინადადება მისცა ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინოს შრომის ბირჟის მოქმედების ანგარიში, რათა შესაძლებელი იყოს გადასწყდეს საჭიროა თუ არა ბირჟის არსებობა.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობის ბინის განყოფილებას განკარგულება გასცეს, რომ შეეჩერონ ფრანგულ ფირმის „რალლესი და ამხ“-ის მიერ დაკავებული ბინის რეკვიზიცია. ამასთანავე მთავრობამ გარმატა, რომ საფრანგეთის მოქალაქეთა ბინის რეკვიზიცია შეუძლებელია რუსეთსა და საფრანგეთის შორის 1817 წელს დადებულ კონვენციის ძალით. ეს კონვერცია ძალას არა ჰკარგავს, ვიდრე სეიმი ამის საწინააღმდეგო დადგენილებას არ გამოიტანს.

რკინის გზის სამმართველოს უფროსი სთხოვს მთავრობას, რომ თანახმათ განკარგულებისა დაუყოვნებლივ გაგზავნონ განჯაში ჯავშნიანი მატარებელი.

სოფ. ბაღდადში (ქუთ. მაზ.) მაჰმადიანთა და ქართველთა შორის შეტაკება მომხდარა. არის მოკლულნი და დაჭრილნი. ქუთაისში 20 დაჭრილი მიუყვანიათ.

სამხედრო მთავრობამ რადიო ტელეგრაფის გამგეს ნება მისცა ნავთლულში ახალი დიდი ძალის მქონე რადიო სადგური მოაწყოს.

დამცველმა შტაბმა დააპატიმრა ტიგრან ტარუხიანი, რომელსაც 80 ფუთი შაქარი აღმოაჩნდა. დააპატიმრეს აგრეთვე 7 დეზერტირი.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ.

შაბათს, 14 აპრილს, დღის 4 საათზე დანიშნულია მე-4 და მე-5 სამილ. უბნის გაერთიანებული ქალთა კრება. პარტიულ წევრებს და თანაგრძნობ ქალებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ ხარფუხში პუშკინის სკოლაში. მოხსენებას გააკეთებენ სამ ენაზე,—მიმდინარე მომენტზე შემდეგ მოხდება ქალთა კოლექტივის არჩევნები.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონის ს. დ. კოლექტივის კრება. გასარჩევია მეტათ საჭირო კითხვები. აუცილებლათ უნდა დაესწროს ყველა წევრი.

— დღეს, 14 აპრილს, საღამოს 7 ს., მეორე სამ. უბნის მცირე კოლექტივის ბინაზე (ჰავშავ. ქ. № 9) დანიშნულ. აღნიშნულ მცირე კოლ. წევრთა მორიგი კრება, სადაც მოსმენილ იქნება ამხ. რ. ჩიხლაძის მოხსენება მიმდინარე მომენტზე. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ზუგდიდი. ბორო ალმზრახველებმა მოკლეს ჯვარის რაიონის წითელ გვარდიელთა უფროსი სამსონ გეტია, რწმენით სოციალ დემოკრატი, რევოლიუციონურ დემოკრატიის წარმომადგენელი, გლეხი. მოკლეს აგრეთვე მარტანი თოდუა და უტუია მიქაა

—

ს. ᲫᲕᲔᲛᲝ-ᲭᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. (გორის მაზრა). მოწვეულია კვირას, 15 აპრილს დილის ათ საათზე რაიონული კრება, სამიწადმოქმედო რწმუნებულის მიერ. ამ კონფერენციაზე იქნება არჩეული სამიწად მოქმედო ადგილობრივ კომიტეტი შვიდი კაცისაგან და ჩამომრთმევ კომისიის ერთი წევრი. სასურსათო კომიტეტის ცენტრის დაარსება. საჭიროა ყველა სოფლის არჩეული პირები დაესწრონ, კომისარის მოწოდების თანახმად.

ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

პრაპ. დათიკო ᲗᲐᲜᲘᲫᲔ.

ბათუმიდან მოსული სამწუხარო ცნობით, იქ შეტაკების დროს მოუკლავთ ძვირფასი, სიცოცხლით და ენერგიით სავსე ახალგაზდა ამხანაგი დათიკო ვანიძე.

იგი მოვალეობის მსხვერპლი შეიქნა.

მან გმირულათ გაათავა თავისი ნორჩი სიცოცხლე და დაეცა ბრძოლის ველზე მუხთალ ტყვიისაგან.

ბევრი ამხანაგები შეეწირა უსწორო ბრძოლას, ბევრი ახალ გაზდები უდროოთ გამოეთხოვა მშობლიურ მხარე და იღუპებიან...

ბევრი დედები დაიტანჯა, ბევრი ოჯახები შეიმოსა შავი ძაძებით...

მე მახსოვს ახალგაზდა დათიკო, ჩუმი, უწყინარი, საქმის მოყვარე, ყველას საყვარელი, მხნე, გატაცებული, მომავლის იმედებით სავსე...

მახსოვს და ეს მოგონება ჩემთვის საშინელი წუთებია ეხლა, რადგანაც ჩემი იმედი გათავდა...

ჩვენ დავკარგეთ ის, ვინც ჩვენი მომავალი თაობისათვის სასარგებლო პირი იყო...

ტანჯული დედა კი გამოეთხოვა თავის საუკეთესო შვილს.

დათიკოს ამიერიდან ეიღარ ვნახავთ... ბათუმის დაფიქრებულ ორწოხებში შავ-ბნელ სამარეს შეუერთდა საბედისწერო ომში დაღუპული მისი სევდიანი სახე...

მე წილათ არ მარგუნა ბედმა უკანასკნელათ დამეტირებია ცხოვრების მიერ დასჯილი ამხანაგი...

წამებულ დედას ბედმა უღალატა და ვერ გაიზიარა თავისი ძვირფასი შვილის უკანასკნელი განცდის წუთები...

მშვიდობით ჩემო დათიკო!..

შენ გაათავე უდროოთ მოგზაურობა ამ მსოფლიოში!

შენ დაიღუპე გმირულათ, მაგრამ შენი მოგონება სამუდამოთ დარჩება ჩვენს ქვეყანაში და ისტორია ღირსეულ შვილებს შესაფერათ მოიგონებს და დააფასებს...

მე კი, ღრმა მწუხარებით მოცული, თვალ-ცრემლიანი, გულ-დაწყვეტილი შენი უდროო სიკვდილით გემშვიდობები...

მშვიდობით!..

უცნაურ ცხოვრებისაგან ტანჯულო, აწ განისვენე ობლათ ცივ სამარეში.

შენი ანანია.

—

ᲑᲐᲠᲜᲐᲑ ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲔ.

8 აპრილს ჩვენი ჯავშნიან მატარებლის № 4-ის ჩოლოქთან ოსმალთა ჯართან შეტაკების დროს თავ-განწირულ ბრძოლაში, თავის მოვალეობის აღსრულების დროს გმირულად დაეცა ბარნაბ გოგუაძე.

ვინ იყო ის?.. ერთი გულწრფელი მუშათაგანი, პატიოსანი და ზრდილობით სავსე 25 წლის ჭაბუკი. ის იყო თავისუფლების მაძებარი და მის ძიებაში სულიც დალია.

წინათ ის მსახურებდა ბათუმში „ტყვიის-მფრქვევლის კამანდაში“. 17 მარტს თავის ჯავშნიანით ბათუმს ჩამოდის ვალ. გოგუაძე, მასთან მიდის ბარნაბ და სთხოვს მიიღოს ის თავის „კამანდაში“.

ვალოდიამ განუცხადა:—ბიჭო! იყავ იქ, სადაც ხარ, აქ ჩვენი სიცოცხლე ვოველ წუთში ბეწვზე ჰკიდია და საშიშრობას განვიცდიდითო,—არა, მე მინდა შენთან ვიყო, უპასუხებს ბარნაბ, შენთან გმირები არიან, გმირები, რომლებიც სამშობლოს დაცვაში აქტიურად მოქმედებენ, თქვენი სახელი დღეს ქვეყანაჰ იცის, მე გულით მინდა ამ გმირებში ვიყო, მათთან ვიმუშაო, მათთან ვიბრძოლოო!.. ვალოდია მას იღებს, თავის „კამანდაში“ და 18 მარტიდან ის ჩვენს რაზმს უერთდება.

მისმა მარჯვენმა ამუშავაა ტყვიის მფრქვეველი, მტერს მიზანი შეუსწორა.

მოკლე ხანში მან მთელი რაზმის სიმპატია დაიმსახურა.

8 აპრილს კი, ჩვენი ჯავშნიანის სახელოვანმა გამარჯვებამ შეიწირა ეს უანგარო მსხვერპლი, მსხვერპლი მთელი რაზმისთვის ფრიად საგრძნობი!

მაგრამ, ძმაო ბარნაბ, შენ მხოლოდ სხეულით დაეცი, სულით, უკვდავი სახელი კი, ჩვენთან ხარ, ჩვენთან იქნები!

შენ დაეცი გმირულ ბრძოლაში სახელოვნათ! „და ნეტარ არს ასეთი სიკვდილი!“ ნეტა ჩვენც ასე სახელოვანად გვიმსხვერპლებდეს ჩვენი მოვალეობა, ეს სიკვდილი კი არ იქნება, არამედ სამარადისო სიცოცხლე, სიცოცხლე სულიერი და მარად უკვდავი!

შენი გაციებული გვამი, შენი სიყრმის მეგობრებმა 9 აპრილს ჩავაბარეთ შენს დამწუხრებულ მშობლებს, მწარე იყო და აუწერელი ის სურათი, რომელიც ამ დროს განიცადა შენმა მეგობარმა დათიკომ, ცრემლთა გუბე ამ წუთს ვერ შეივიკავე და შენი კუბო ცრემლით მოგიქარგე, ჩემი ცრემლიც შეეუერთე შენი მშობლების ცრემლებს, მაგრამ ვნუგეშობთ მით, რომ შენ სახელოვნად დალიე სული და გმირ ჭაბუკის ხსოვნას არ შეშვენის მუდამ წუწუნი, გლოვა და ვიში.

შენს მშობლებსაც ეს უმსუბუქებს გლოვა წუხილს, რომ სამარცხვინო სიკვდილი წილად არ გხვდა, და გმირულად მოიხადე შენი ვალი.

განისვენე მშვიდათ, ძმაო ბარნაბ! ისტორია თავის ფურცლებს ხარბათ გადაგიშლის, და შენს სახელს უკდავ ყოფს!

არ მომკვდარხარ, მხოლოდ განისვენებ, სულით სცოცხლობ და იცოცხლებ!

გზა მშვიდობისა მოვალეობის მსხვერპლო, ბარნაბ!..

მშვიდობით!

შენი სიყრმის ძმა და მეგობარი

დათიკო ბაიხოშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲧᲕᲔ ᲐᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘ

ჩემმა შვილმა ვალ. პაიჭაძემ ბათუმიდან წერილობით მაცნობა იმ აფიცრების გვარები, რომლებიც ამ ჟამათ ტყვეთ იმყოფებიან ბათუმში. კ. ვარახელაშვილი, პორ. გობერიძე, ცინცაძე, შტ.-კაპ. ვ. ჩოჩია, პორ. ელენტი, პორ. შ. გაჩეჩილაძე, პრ. გაგუა, პრ. ხავთასი, პრ. გალდავა, შტ.-კ. გოგიტიძე, პრაპ. ბუკია, პრაპ. ქარსელაძე, პრაპ. მალაშხია, პოდ. პორუჩ. ჯიმშელიშვილი, პოდპორ. მაისურაძე მიშა, პოდპორ. საებლიძე, კაპიტ. საებლიძე, პრ. საებლიძე, პორ. ადამია, პორ. ლეკავა, შტ.-კ. გუმერიძე ივ., პოდპორ. ხუბუტია, პოდპარ. კობიძე, პოდპორ. ფულარია, პრ. გვა—მაძე დ., პრ. კვაჭაძე ვ., პრ. ავალიანი, ჩუჩულაშვილი კ., პორ. [illegible] ბახტაძე გ., კაპ. გობრონიძე, კაპ. ჩიქვანი. პარუჩ. ჩიქვანი ს., პოდპარ. გარდაფხაძე ვ., პოდპარ. ახვლედიანი, კაპ. გიორგობიანი მ., კაპ. გიორგობიანი ს., პარ. ქორდანია, შტ.-კ. თალაკვაძე, პოდპარ. კვაშალი, პრ. შავდია, პრ. გვარამძე, პარ. გვარამაძე, შტ.-კ. ლორთქიფანიძე, პარ. სვანიძე, პრაპ. ქუთათელაძე, პოდ. ჭუბაბრია, პოდ. ევანია, პარ. გაბისონია, პარ. სულუხია, პარ. ხვადაგიანი, პრაპ. მდივანი, პრაპ. ჩიკობავა, პარ. ოკუჯავა, პარ, ჩაჩანიძე, პრაპ. გვარჯალაძე, კაპ. თოხაძე, პარ. ქორქაშვილი, პოდ. ხუროძე, პოდ. გოდაბრელიძე, პოდ. საგინოვი, ამასთან ერთად არიან სხვა აფიცრებიც, როგორც შვილი მწერს და ჯარისკაცები; რომლებიც ყველანი კარგათ ყოფილან. წერილი და სიამოვნებ 10 აპრილს.

ა. პაიჭაძე.

„ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲛᲘ“

თუ რაგვარ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთის ბალშევიკური მთავრობა „მუშათა და გლეხთა მთავრობათ“ წოდებული, ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ გავითვალისწინებთ ბალშევიკური მთავრობის რუმინიასთან დამოკიდებულება.

„ნოვი ლუჩი“-ს მე 35 ნომერში მოთავსებულია ნიკ. ტერზიევის ახსნა-განმარტება რუსეთ-რუმინიის კონფლიკტის შესახებ. მას მონაწილეობა მიუღია ყველა კონფლიკტების მოგვარებაში და თავისი მოხსენება მან წარუდგინა შეკითხვის სახით მოსკოვში მომხდარ საბჭოთა დეპუტატების ყრილობას.

ტერზიევის მიერ გამოქვეყნებული მასალები საკმაოთ ჰფენს ნათელს ბალშევიკების ავანტიურისტულ მოღვაწეობას. ეს შეკითხვა ყრილობაზე იმ მიზნით იყო შეტანილი, რომ საქმის ყოველმხრივ გამოსაძიებლათ კომისია დაენიშნათ, მაგრამ ეს ბალშევიკებმა არ ისურვეს და, როგორც იტყვიან, შეკითხვა დაასამარეს, ყრილობაზე შეკითხვის გამოქვეყნების საშუალებაც კი მოუსპეს ტერზიევს.

საქმე ვითარება ტერზიევის მოხსენების თანახმად ასეთი ყოფილა:

„1917 წ. 20 დეკემბერს რუმინიის ფრონტისა და ადესის ოლქის „საბჭოთა ყრილობაზე არჩეულ იქნა „რუმჩერო“—დის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ხელში მალე გადავიდა უზენაესი ძალა-უფლება ფრონტზე და ოლქში. ცენტრიდან ჩამოშორების გამო „რუმჩეროდი“ იძულებული იყო ხშირათ ავტონომიურათ განეხორციელებია თავის უფლებები და დამოუკიდებლათ გადაეჭრა თავის რაიონის მიმდინარე ცხოვრების მიერ წამოყენებული კითხვები.

ცენტრალურ მთავრობასთან მტკიცე კავშირის უქონლობამ ბოლოს და ბოლოს აიძულა „რუმჩეროდი“ მოეწყო საოლქო სამინისტრო, რ მლის როლს თამაშობდენ „რუმჩეროდის“ ცალკე წევრები და სექციები. საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა გადაეცა ინტერნაციონალურ სექციას, რომელიც პირველათ დაარსდა როგორც საინფორმაციო ცენტრი, შემდეგ კი მის ხელში თანდათან გადავიდა გარეშე საქმეთა სამინისტროს ფუნქციები.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში რუმინიის ჯარმა გადმოლახა ბესარაბიის საზღვრები და იწყო თანდათან წინ წამოწევა. რუსეთსა და რუმინიას შორის დამოკიდებულების ხასიათი გამოურკვეველი რჩებოდა, ისე, როგორც საკითხი, იყო თუ არა რუმინიასთან ომი გამოცხადებული. მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ადესაში არსებულ რუმინიის კონტრ-დაზვერვას შეეძლო ზარალი მოეტანა რუსეთის ინტერესებისათვის რუმინიის ჯარისათვის ჩვენი სამხედრო საიდუმლოების გადაცემით, ინტერნაციონალურ სექციამ დაადგინა მიიღოს საჭირო ზომები, მან მოისურვა გაეგო კონსულთა კოლეგიის აზრი რუმინელთა წინაღლის ხასიათის შესახებ. კოლეგიის უფროსმა ვიზარტმა განაცხადა, რომ მას ვერ წარმოუდგენია რუსეთსა და რუმინიას შორის ომის შესაძლებლობა და მომხდარ ამბებს გაუგებრობათ აღიარებს. ამის საპასუხოთ ინტერნაციონალურ სექციამ თავის დეკლარაციაში მოითხოვა საერთაშორისო კომისიის არჩევა, რომელიც მშვიდობიანი გზით მოუღებს ბოლოს რუსეთსა და რუმინიას შორის ჩამოვარდნილ კონფლიკტს. კონსულთა კოლეგია დასთანხმდა ეს წინადადება გადაეცათ თავის ელჩებისათვის იასაში. საკითხის დაჩქარებით გადას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთის მისიის წარმომადგენელი რეხტვამერი და ადესაში მყოფ რუმინიის პარლამენტის ჯგუფის წარმომადგენელი—იუნიანი. 1918 წ. 26 იანვარს დელეგაცია მიიღო საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსმა გენ. ბერტელომ, ამერიკის ელჩმა, რუმინიის ყოფილ პრემიერმა ბრატიანომ, კაბინეტის უფროსმა გენ. ავერესკომ და რუმინიის ჯარების მთავარ სარდალმა პრეზანმა. ამის გარდა ამხ. ტერზიევი ესაუბრა რუმინიის პარლამენტის გამოჩენილ მოღვაწეებს. საფრანგეთის და ამერიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოკავშირეთა ინტერესია რუსეთის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვა, რომ ორ მოკავშირე ერთა შორის დავა მავნებელია საერთო საქმისთვის და ამიტომ მათ მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რომ მალე მოეღოს ბოლო რუსეთსა და რუმინიის შორის კონფლიკტს. კერძოთ საფრანგეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბესარაბიის რუმინიაზე შემოერთების შესახებ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლებაო.

გენ. ავერსკოს ნახვის დროს ამხ. ტერზიევმა წერილობით წარუდგინა რუმინიის პრემიერს რვა კითხვა, რომლებზედაც მიიღო ოფიციალური და სწორი პასუხი. გენ. ავერესკოდან, როგორც რუმინიის მთავრობის წარმომადგენლისაგან. ამ პასუხიდან უნდა აღინიშნოს კატეგორიული განცხადება, რომ რუმინია არ ფიქრობს ჩაერიოს ბესარაბიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ თვით ჯარის შეყვანა ბესარაბიაში—ეს საშუალებაა რუსეთისა და რუმინიის ჯარების სურსათით უზრუნველსაყოფათ და თუ რუმინიისათვის უზრუნველყოფენ სასურსათო საკითხის დადებითად გადაჭრას, რუმინია დაუყონებლივ გაიყვანს თავის ჯარებს ბესარაბიიდან.

დაბოლოს გამოირკვა, რომ რუმინია თანახმაა შესდგეს საერთაშორისო კომისია. ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ უკვე გაგზავნეს თავის წარმომადგენლები ამ კომისიაში. იასიდან ტერზიევის გამოსვლის წინ მოხდა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დელეგატების თათბირი „რუმჩეროდის“ წარმომადგენელთან ერთად. უკანასკნელი შეეცადა გამოერკვია, თუ რა რეალურ ძალით ფიქრობენ მოკავშირე სახელმწიფოები რუსეთ-რუმინიის კონფლიქტის მოსპობას. ამაზე ინგლისის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მისი მთავრობა წარმომადგენს ტეხნიკურ ძალებს ბესარაბიის სარკინის გზის საექსპლოატაციოთ; საფრანგეთის წარმომადგენელმა გამოსთქვა იმედი, რომ შესაძლებელია საერთაშორისო შერეულ რაზმებით დავიცვათ რუმინიის სასურსათო საწყობები ბესარაბიაშიო. ამნაირათ, სასურსათო საკითხი ხელსაყრელათ გადაიჭრა. ასეთი შედეგებით დაბრუნდა ტერზიევი ადესაში და მოსვლისთანავე გაუკეთა მოხსენება „რუმჩეროდს“.

ტერზიევის რუმინიაში ყოფნის დროს ადესაში მოვიდა რაკოვსკი და განაცხადა, რომ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მოეწყო რუმინიის საქმეთა მთავარი კოლეგია, რომლის წარმომადგენელი ის თვითონ არის და რომელიც აღჭურვილია განუსაზღვრელი უფლებებით. თავის მოხსენებაში რაკოვსკიმ სთქვა, რომ ამ კოლეგიის მთავარი დანიშნულება არის რუმინიაში სოციალისტური რევოლიუციის მოწყობაო. რაკოვსკის მოსვლისთანავე „რუმჩეროდის“ საგარეო პოლიტიკა საგრძნობლათ შეიცვალა. რაკოვსკის მოთხოვნით მოახდინეს ადესაში მასსიური ჩხრეკა რუმინელთა შორის, რეკვიზიცია უყვეს რუმინიის საწყობებს და სხ. ტერზიევმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ როგორათაც არ უნდა ვუყურებდეთ რუმინიის განზრახვებს, რეალურ სიმარ ძალის უქონლობა აიძულებს „რუმჩეროდს“ დაადგეს ისევ ზავის ძველ პოლიტიკას. რაკოვსკი გამოვიდა წინაალმდეგ, მან სთქვა, არავითარი მოლაპარაკება რუმინიის იმპერიალისტებთან არ შეიძლება, რომ საჭიროა რუმინიასთან ომის გაგრძელება და სამხედრო განადგურების გზით სოციალურ რევოლიუციის გამოწვევა რუმინიაშიო. ადგილობრივ ბალშევიკების ლიდერმა აღნიშნა, რომ რუმინიასთან ბრძოლა ადვილი იქნება და მალე რუსეთის რევოლიუციონური ჯარი მოსპობს რუმინიის ოლიგარხიას.

რაკოვსკიმ წინადადება შეიტანა ეს საკითხი გადაცემოდა განსახილველად მთავარ კოლეგიის ღახურულ სხდომას. რამდენიმე საათის შემდეგ პლენუმს წარმოუდგინეს ულტიმატუმის პროექტი, რომლის თანახმათ რუმინიას უნდა დაეცალა ბესარაბია, გაეცა ზჩერბაჩევი და სხ. პროექტი უკამათოდ მიიღეს. ამის გამო „რუმჩერდის“ საგარეო საქმეთა კომისია მთელი შემადგენლობით გადადგა. ერთ მის წევრთაგანმა, ბალშევიკ გოხტლიბმა შეიტანა განცხადება; რომელშიაც იგი ილაქრებდა რუმინიაში ხიშტების ძალით საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების წინააღმდეგ და ამტკიცებდა მთავარ კოლეგიის პოლიტიკის დამღუპველობას.

რუმინიამ ულტიმატუმზე სამხედრო მოქმედების განახლებით უპასუხა. „რუმჩეროდმა“ სამხედრო მოქმედების სახნლმძღვანელოდ გამოიწვია მურავიოვი. უკანასკნელმა ოდესაში მოსვლისას განაცხადა, რომ ის არამც თუ განდევნის ბესარაბიიდან რუმინელებს—იასსაც აიღებს და ვენისაკენ გაემართება. მაგრამ ლიდერების ტრაბახმა მალე დაუთმო ადგილი სასოწარკვეთილებას. უკვე 1918 წ. 25 თებერვალს რუმინიის საქმეთა მთავარ კოლეგიამ გაგზავნა რუმინიაში საიდუმლო დახურული პაკეტი ზავის წინადადებით. ზავის პირობები არამც თუ არ განუხილავთ, არც კი უცნობებიათ „რუმჩეროდისათვის“. მათი შინაარსი საადუმლოთ დარჩა. რაკოვსკის სიტყვებიდან იციან მხოლოდ, რომ ზავის პირობათა შორის იყო მუხლი, რომლის ძალით რუმინიას უნდა დაეტოვებია ბესარაბიაში 10 ათასი ჯარისკაცი თავის საწყობების დასაცავათ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირობების უფრო ნაკლებათ სასარგებლოა რუსეთისათვის, ვინემ ის პირობები, რომელიც შეიმუშავეს იასაში დელეგაციის გაგზავნის დროს და ფაქტიურათ ბესარაბიას სტოვებდენ რუმინიის ხელში. მთავარ კოლეგიის ნოტაზე რუმინიამ პასუხი არ გასცა და განაგრძო სამხედრო მოქმედება. ამავე დროს რუმინიამ შეკრა ზავი გერმანიასთან და შემდეგ იგი მოიწვევდა რუსეთში ავსტრო-გერმანიასთან შეთანხმებით. ყოველივე ზემო ნათქვამს შედეგათ მოყვა რუსეთის მიერ ბესარაბიისა და ახლა ადესისა და მთელი ხერსონის რაიონის დაკარგვა.

ამის გამო „ნ. ლ.“ ამხ. ა. მარტინოვი, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„... ფინლიანდიაში ჩვენი კომისართა მთავრობა თვისი **მაგალითით იწვევდა** მუშების სამოქალაქო ომს, თავისი ხიშტებით **ამაგრებდა** კომისართა მთავრობა ამ ომს და დაბოლოს, ბრესტის კაპიტულიაციით ვაჭყიდა ის.

რუმინიაში კომისართა მთავრობა უფრო გაბედულათ მოქმედებდა. გერმანიის ჯარებით განადგურებულ, ნახევრათ ბატონ ყმურ, „მუჟიკურ“ ქვეყანაში, სადაც მუშათა მოძრაობა სუსტია, იმ ქვეყანაში, რომელიც მთელი ამ საერთაშორისო ომის დროს მორჩილები იტანდა ისეთი გაიძვერა მოყიდული პირების უღელს, როგორიც იყვენ ტაკე-იონესკუ და ფილიპესკუ, ჩვენმა სახალხო კომისართა საბჭომ **გარედან** მოინდომა „სოციალური რევოლიუციის“ შეტანა რუსული ხიშტის საშვალებით თავისი გამოჩენილი მხედართ-მთავარის მურავიოვის დახმარებით, რომელიც ტრაბახობდა—ჩემი წითელი გვარდიელებით ბესარაბიასაც გავანთავისუფლებ, იასსაც ავიღებ და ვენისაკენ გავილაშქრებო.

რუმინიის საქმეთა „უმაღლესმა კოლეგიამ“ იცოდა, რომ რუმინია—რუსეთს შორის საქმეს მოაგვარეს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

კარგათ იცოდენ, რომ რუმინიის წინაალმდეგ ომის დაწყება ნიშნავდა რუმინიის გერმანიის მხარეზე გადასვლას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, „უმაღლესმა კოლეგიამ“ პროვოკაციულათ გამოიწვია ეს „სოციალისტური ომი“ და პირველსავე დამარცხებისთანავე გაჰყიდა რუსეთის საარსებო ინტერესები. მთავრობამ დაიწყო საიდუმლო დიპლომატიური მოლაპარაკება „რუჩმეროდის“ ზურგს უკან. რუსის ხალხის ბედით ასე უპასუხისმგებლო თამაში არც ნიკოლოზ რომანოვის დროს ყოფილა, როცა იაპონიის ავანტიურაში იქნა ჩათრეული რუსეთი.

მაგრამ რუმინიის ავანტიურა სხვა მხრითაც ჰფენს ნათელს სახალხო კომისართა პოლიტიკას. ბალშევიკებს თავი მოაქვთ იმით, რომ იმათი პოლიტიკა ემსახურება ინტერნაციონალის აღორძინებას, ეშმარიტ ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ ცეცხლს აღვივებს დასავლეთ ევროპაში. რუმინიის ავანტიურა კი ჩვენ კარგს მაგალითს გვაძლევს იმისას, თუ რას აკეთებენ ბალშევიკები და რა ნაყოფი მოაქვს მათ მუშაობას.

მთავარი ხელმძღვანელი და თითქმის ინიციატორიც რუმინიის ავანტიურისა, რომელიც კომისართა საბჭოს რწმუნებით მოქმედებდა გაიძვერა სპიროსთან ერთათ, ჩვენდა სამწუხაროთ, ინტერნაციონალის ცნობილი წევრი, ჩვენი ყოფილი პოლიტიკური მეგობარი ს. რაკოვსკი აღმოჩნდა.

რაკოვსკი იყო დ დარჩა ინტერნაციონალისტი იმ დრომდე, ვიდრე ის არ დაბრმავა ოქტომბრის გადატრიალებამ. ციმერვალდში ჩვენთან ერთათ რაკოვსკი ცენტრში იყო,—ებრძოდა სოციალშოვინისტებს, მაგრამ ამავე დროს უარყოფდა ლენინის და რადეკის რევოლიუციონურ უტოპიზმს.

პეტროგრადში, 1917 წელს, როცა ის პირველათ მოვიდა რევოლიუციონურ რუსეთში, ჩვენთან ერთათ იბრძოდა ომის საჩქარო ლიკვიდაციისათვის და ამავე დროს ის გმობდა ლენინის გამთიშავ ტაქტიკას, რაიც „სოციალისტური რევოლიუციის“ გულისთვის რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას ორ ნაწილათ ჰყოფდა.

თავის ღია წერილში გედის კაბინეტის შეფს შარლ დიუმას, რომელი წერილიც 1915 წელს დაიბეჭდა, რაკოვსკი სასტიკად აკრიტიკებდა საფრანგეთის მთავრობის მომხრე სოციალისტების რევოლიუციონურ ფრაზებს ბალკანეთის ერების მოკავშირე სახელმწიფოების ხიშტებით განთავისუფლების შესახებ.

როგორც კი რაკოვსკიმ გაიგო ბალშევიკების მიერ ხიშტების საშვალებით მოხდენილი გადატრიალების ამბავი, ყველაფერი ერთბაშად დაივიწყა და დაადგა რევოლიუციონური ავანტიურიზმის გზას. ჯერ კიდევ სტოკჰოლმიდან გამოუგზავნა მან სახალხო კომისართა საბჭოს მისალმების დეპეშა, სადაც იმედს გამოსთქვამდა, რომ ის მთავრობა, რომელმაც რუსეთში ყველა დაწესებულებები გარეკა საყოველთაო და სხ. პრინციპის თანახმად არჩეული, საყოველთაო საარჩევნო უფლებას მოუპოვებდა რუმინიის ხალხს. შემდეგ ის სიტყვიდან საქმეზე გადავიდა და დაბრუნდა რა რუსეთში, ბალშევიკურ უმაღლეს კოლეგიას ჩაუდგა სათავეში რუმინიის წინააღმდეგ სოციალისტური ომის მოსაწყობათ.

რა შესძინა რაკოვსკის სოციალისტურმა ცდამ? ის წინეთ დასცინოდა საფრანგეთის სოციალისტების ნაციონალურ ეგოიზმს, რომლებიც მოითხოვდენ ნეიტრალურ ქვეყნებისაგან ომში ჩარევას საფრანგეთის გადასარჩენათ, ახლი კი ისე გაიტაცა ის ბალშევიკების გამარჯვებამ, რომ გაიმსჭვალა რუმინული ნაციონალური ეგოიზმით და შეეცადა დაფლეთილი, რევოლიუციონური რუსეთის ჩათრევას ახალ ომში რუმინიის გასანთავისუფლებლათ.

ის წინეთ სასტიკათ აკრიტიკებდა გარედან ხიშტების საშუალებით ერებისთვის თავისუფლების მიტანის შესაძლებლობას.

ახლა კი შეეცადა ამგვარი საშუალებით რუმინიის განთავისუფლებას, სადაც სოციალისტებმა ვერ შესძლეს ხალხში რევოლიუციონური მოძრაობის გაჩაღება.

ის წინეთ ბალშევიკების მოქმედებას გმობდა, რომ ისინი ჰთიშავენ რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას, ახლა კი თითონ შეითვისა ანტიდემოკრატიული, დიკტატორული მეთოდები მოქმედებისა...

ასეთია ის „სოციალისტური“ „მოსავალი“, რომელიც „მუშათა და გლეხთა“ მთავრობის „ნათესმა“ მოიტანა.

საბედნიეროთ, ისეთი უბედური ქვეყნის სოციალისტი უნდა იყოს ადამიანი, როგორიც რუმინია, თუ გინდ მას ევროპიული **სკოლა ჰქონდეს** გავლილი, რომ ის გაიტაცოს ბალშევიკურმა სალდათურმა სოციალიზმმა.

სხვა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებში, სადაც ღრმათ აქვს გადგმული ფესვები მუშათა მოძრაობას, ბალშევიკურ თესლს“ არავითარი „მოსავლის“ მოცემა არ შეუძლია.

ასე რომ, ბალშევიკების ეს ახალი ცდა იმის მაჩვენებელია, თუ როგორ არ უნდა ქმნიდენ რევოლიუციას.

რუსეთის ამგვეგი.

ორენბურგი. ქალაქში შეუჩერებლივ სწარმოებს ჩხრეკა, დატუსაღება, ძარცვა-გლეჯა და დახვრეტა. ორენბურგის ციხეები ტყვეებითაა ავსებული. ყველა გაზეთები დახურულია. აქ ვერ ნახავ ვერც ერთ გაზეთს, გარდა ბალშევიკების გაზეთებისა. კრების თავისუფლება ჩაკლულია, არავითარი მიტინგები არ არის ნებადართული. დახვრეტა დღემდისაც გრძელდება. ექიმების სიტყვით დახვრეტეს 120—150 კაცი. უმრავლესობა მათ შორის კაზაკის აფიცრებია. დახვრეტეს სხვათა შორის სოც.-რევ. არხანგელსკი, რომელიც მსახურებდა კავშირთა კავშირში. წითელ გვარდიელები მივიდენ მასთან ბინაზე მაშინ, როცა ის ცოლშვილთან ერთათ ვახშმობდა. მას სთხოვეს ამდგარიყო, დაყენეს იქვე კედელთან და ოჯახის წევრთა თვალისწინ დახვრიტეს. ერთი ადგილობრივი ექიმის გადმოცემით, ჯერ საშინლათ დაასახიჩრეს და შემდეგ მოჰკლეს ერთი დაჭრილი აფიცერი. ეს შემთხვევა ოქმში აქვს შეტანილი ფიზიკო-მედიკურ საზოგადოებას. დაჭრილი აფიცერი ჩამოათრიეს საწოლიდან, გამოიყვანეს გოსპიტალის ეზოში დ აქ ჯერ მოსჭრეს მას ხელები დ ფეხები და ხიშტებით გაუხვრიტეს თავი. ამის შემდეგ აფიცერმა იკოცხლა კიდევ ორი საათი და სულ თხოულობდა საწამლავს. მასსიურ დახვრეტამ ისეთი თავზარი დასცა ორენბურგელებს, რომ დღეს ვერავინ ბედავს ჰოლიტიკაზე ლაპარაკს. თქვენ ხედავთ მოქალაქეთა ჯგუფს ბოძზე გაკრულ დეპეშასთან ან რევოლიუციონურ კომიტეტის აფიშასთან. ჯგუფი კითხულობს ჩუმათ, ხმის ამოუღებლივ და წაკითხვის შემდეგ იშლება. სიტყვის თქმა—ეს უკეთეს შემთხვევაში დატუსაღებას ნიშნავს. თუ რამდენათ „ენერგიულათ“ სწარმოებს ორენბურგში ბრძოლა „კონტრ-რევოლიუციასთან“, ამას **გვიჩვენებს** თვით საგამომძიებლო კომისიის შემადგენლობა, რომლის წევრთა რიცხვი 500 ამდე ავიდა. მაგრამ გამომძიებელთა ასეთი მრავალრიცხოვანი შტატის დროსაც ბევრი დახვრიტეს ისე, რომ მიზეზი არავინ იცოდა. ბურჟუაზიაზე რომ არაფერი ვსთქვათ, ბევრი ინტელიგენტი ანებებს თავს ორენბურგში მუშაობას ტ მიდის სადაც კი მოეხერხება. („ნოვი ლუჩ“).

— **შავ-წითელი ტერორი.** „დელო ნაროდა“ გადმოგვცემს პროვინციელ ბალშევიკების ახალ შემაძრწუნებელ გმირობას. ვიატკის გუბერნიაში, იჟევის ქარხანაში, სადაც ადგილობრივ საბჭოს არჩევნების დროს ბალშევიკები დამარცხდენ, ბალშევიკებმა მოინდომეს ჯავრი ეყარათ ახლათ არჩეულ მენშევიკებსა და სოც.-რევოლიუციონერებზე. მათ გადაისროლეს ყუმბარა საბჭოს შენობაში, სადაც მენშევიკ და ს.-რევოლიუციონერ მუშებს კრება ჰქონდათ გაბართული. ვინაიდან ყუმბარა არ გასქდა, ბალშევიკებმა ორი დღის შემდეგ მოაწყვეს ღამით თავდასხმა სახლში მიმავალ ახლათ არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებზე, აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მენშევიკი ა. ი. სოსულინი მოკლეს, ს.-რ. ნასლეჩინი მძიმეთ დასჭრეს. მეორე დღეს ქარხნის მმართველობასთან დასჭრეს დამფუძნებელ კრების წევრი ვას. ბუზანოვი, რომელიც არჩეული იყო საბჭოში. („ნ. ლ.“)

პროვინცია

ს. უჯარმა (თფილისის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს თფილისიდან 35 ვერსზე სამხრეთ აღმოსავლეთით. დასახლებულია ქართველებით და არის 100 კომლი, რომელსაც უერთდება რუსთა პატარა სოფელი მუხროვანი 32 კომლით. ეს ორი სოფელი დღემდე კეთილ-მეზობლურ ცხოვრებას ეწეოდე. ხშირათ რუსქართველთა შორის შეუღლებაც ყოფილა, რასაც ხელი შეუწყვია კარგ განწყობილებისათვის, მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში, რაც „ბალშევიკური“ სოციალიზმი გამოცხადდა, რუსეთის რევოლიუციისაგან დაჩაგრულთა შორის, აქაც იჩინა ამ სასახელო სოციალიზმმა თავი და ამ კეთილ მეზობლებს შორის გაიჩინა „შავი კატა“. ამ დროს გამოცხადდა ახალი მიწის კანონი ამიერ კავკასიის დემოკრატიულ (და არა სოციალისტურ) მთავრობისა 7 მარტს 1918 წ. გამოცემული, რომელიც გაიცნო 9 აპრილს ცენტრის რწმუნებულმა დ. ი. ლორთქიფანიძემ, აუხსნა რა მისი ეროვნებათა განურჩევლათ ყველასათვის სარგებლობა, ვინც კი ისურვებს ამიერკავკასიაში დარჩენას. ყველანი დარწმუნდა, რომ ბალშევიკური დღევანდელი სოციალიზმი—ეს ნამდვილი შოვინიზმია არა მარტო სხვადასხვა ეროვნებათა, არამედ ღვიძლ ძმათა შორისაც. როგორც მაგალითად: მალაროს ბელოროს-ველიკორუსებს შორის, რაც უკვე შეიგნო პეტროგრადის შეგნებული მუშების უმრავლესობამ და კიდეც შორდებიან ბალშევიზმს.

დღეიდან ფიცსა სდებენ აქაური მიწის მუშები, რომ არ უღალატონ იმ წმინდა საქმეს, რომლისთვისაც შეიწირა ხალხის საუკეთესო წარმომადგენელნი.

კულტურული მუშაობის მხრით, უნდა ითქვას, საქმე ვერაა კარგ ნიადაგზე დაყენებული. აქ არის კოოპერატივი, მაგრამ ბევრს არას იძლევა. სკოლაც არის პირველ დაწყებითი, მაგრამ ძლიერ უგემურათაა მოწყობილი. მასწავლებლები ძლიერ უკმაყოფილონი არიან, რადგან ჯამაგირი ორი თვეა არ მიუღიათ, ხშირათ შიმშილს განიცდიან. მიწის მუშები (გლეხები) საზოგადოთ საბატონო ადგილზე ცხოვრობენ. აქეთ დიდი მემამულენი არიან: თ. ჩოლოყაშვილის მამულს აქვს სიგრძე 19 ვერსი, სიგანე 4 ვერსი, ჭავჭავაძეს, ჯორჯაძეს, დადიანს, საარქიელო; ბახმეტოვს აქვს სოდის ქარხანა, რომელსაც არტუმ საკუთრება რამდენიმე ათეული დესეტინა მამული; აქეთ არის ყარაიაზის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მამულიც ვენახებით, 6 თვალი წისქვილით და სხვა შენობებით, რომელიც ს. ხაშმს უჭირავს. აქ კიდევ დარჩენილა ორი მოხუცი ბერები, რომლებიც მონასტრის შენობაში სცხოვრობენ პატარა პენსიით, რომელიც ს. ხაშმს დაუნიშნავს, არის მამული დადიანის დაახლოვებით 1500 დესეტინა ვენახებითა და წისქვილით, სადაც ცხოვრობს იჯარადარი ლეჩხუმელი გლეხი ოქრო ჭიღარია.

ყველა ეს მამულები ფაქტიურათ მიწის მუშების ხელშია, მაგრამ ძლიერ უწესრიგოთ; ამისათვის უნდა დაჩქარდეს მიწების მიმღებ კომისიის მუშაობა, რომ მიღების შემდეგ შესაძლებელი იყოს ამ არეგ დარეგის მოსპობა; ეხლა კი, ზოგი მეტათ კმაყოფილია, ზოგიც მოელის დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება ჯარში წამსვლელებს, ხშირათ გაგგონებენ ჩვენი მთავრობის ბურჟუაზიის მომხრეობას. წითელგვარდიელთა კონტრ-რევოლიუციონერობას, მაგრამ რა რწმუნდებიან ყველა ეს ხმები ნაყოფია „შოვინისტურ სოციალიზმისა“, მზათ არიან დაიცვან თავისუფლება მხოლოდ მოითხოვენ იმ ვაუბატონებიდან დიდ დახმარებას თავიანთ ოჯახების უზრუნველსაყოფათ, რომლებიც ძველათ მეფის დროს მალულობით გამოვიდა და ქონებაც შეიძინეს. ეხლაც შინ რჩებიან ამისთანები. ასეთი ხალხი აქეთ ბლომათ მოიპოვებიან.

აქეთ შეხვდებით ბევრ ბოროტ-მომქმედსაც. სხვათა შორის ს. უჯარმის მცხოვრები ადამა ხმალაძე დააპატიმრეს და თფილისის ციხეში გაგზავნეს, რომელსაც ერთ ტეხნიკ ამხანაგ თედორ ივანეს ძე პუშკარევისთვის თფილისში ბორჯომის სასტუმროში ერთად ღამის გათევის დროს 6,000 მან. ამოეცალა. საზოგადოთ მცხოვრებნი თანდათან ცდილობენ საკუთარ საქმეს თვითონ მოკიდონ ხელი საჭიროა ერობის დაჩქარებით შემოღება. საზოგადოების ყრილობამ პატივი სცა თავისუფლებისათვის დახოცილთ. სალამი სეომს და მთავრობას, სალამი ცენტრს, სალამი გურულებს, ამ რევოლიუციის შარავანდედს! ზიზღი მოღალატეებს! **მუშა შოველი.**

ჭიათურა. ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ყოფილი ჯარისკაცნი ვაცხადებთ სურვილს, სამშობლოსა და რევოლიუციის დასაცავათ ჩავეწეროთ რევოლიუციონურ ლაშქარში და ვსდებთ პირობას, სავსებით დავემორჩილოთ სამხედრო დისციპლინას, რის დარღვევისათვისაც მოვალეთ ვთვლით ჩვენს თავს პასუხი ვაგოთ სიკვდილით დასჯამდე. ასეთ წინასწარ პირობაზე აწერენ ხელს ჯარისკაცები და მიდიან ფრონტზე.

8 აპრილს მოხდა ადგილობრივ კოოპერატივი „ჩვენი ოჯახის“ მორიგი წლიური კრება, მიუხედავათ იმისა, რომ ეს კრება მეორე იყო წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, განხილულ იქმნა ანგარიში, რომლიდან სჩანს, რომ კოოპერატივს მოგება დარჩენია 1 იანვრამდი 1918 წლისა 36000 მანეთზე მეტი, მოგება განაწილდა ასე: ეროვნულ საბჭოს 2,000 მ. ქართულ უნივერსიტეტს 1,000 ჭიათ. მუშათა საბჭოს 1,000. ჭიათურის დრამ. საზოგად. 500. ჭიათ. ქალთა წრეს პროფესიონ. კავშირის სახელოსნოსათვის 500. და მოსამსახურეთა ჯილდოთ 2000—7,000 მანეთამდე გადაირიცხა პაების გასადიდებლათ (იყო პაი 5 მ. ეხლა ხდება 10 მანეთი). ხოლო დანარჩენი ისევ რჩება ხელ უხლებლათ, საზოგადოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა გამგეობას, რომელმაც დაუღალავ-დაუზარებელი მუშაობით ფეხზე დააყენა კოოპერატივი და სთხოვა დარჩენილიყო. გამგეობის წევრები დათანხმდენ.

— ეს რამდენიმე კვირაა ჭიათურის მრეწველთა საავათმყოფომ შეიჩერა ავათმყოფების მიღება, მუშაობს მხოლოდ ამბულატორია. ამის გამო მოსამსახურეები დითხოვეს დროებით და როდის დაიწყებს საავადმყოფო მოქმედებას არ ვიცით.

— ქალაქის გამგეობამ ამას წინათ თბილისში შეიძინა აფთიაქისა და საავათმყოფოს ინვენტარი და წამლები, რითაც ფიქრობს გამგეობა ქალაქისათვის აფთიაქისა და საავადმყოფოს გახსნას. **ალი ხანი.**

ს. ძველმ.-ბალის რაიონი. (გორის მაზრა), 11 აპრილს აქ დასაფლავეს სამი მიცვალებული, რომლებიც უკანასკნელად გმირულათ შეებრძოლენ რვა აპრილის ხელჩართულ ბრძოლაში მოსეულ მტერს. მდ. ნატანებისა და ჩოლოქის პირზე. თავისუფლებისა და სამშობლოს დამცველებმა არ დაზოგეს თვით ახალგაზრდური სიცოცხლე დ შემოსეულ მტერს ლომივით ეკვეთენ. მათ იგრძნეს თავის უფლებისა და სამშობლოს გასაჭირი. ისინი არ შეუშინდენ აჯარლების საზიზღარი ხიმშიაშვილის ანკესზე წამოგებულ ბრბოს გამანადგურებელ თოფზარბაზნების გრგვინვას, და სიცოცხლე შესწირეს.

დასაფლავების დროს თითქმის მთელი რაიონიდან დაესწრენ. დამსწრეთა რიცხვი 2000 მდე იქნებოდა ქალი და კაცი განურჩევლად ეროვნებისა. სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა ნიკა თავშავაძემ, გ. მინაზაროვმა, მუჟდლიშვილმა და სხვებმა. ორატორებმა მოუწოდეს ხალხს თავისუფლებისა და სამშობლოს დაცვაში და შეფიცეს ისინიც იბრძოლებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

აქვე გაიმართა ხელის მოწერა, დახოცილი ამხანაგების ოჯახთა სასარგებლოთ შეგროვდა 310 მ.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: აქ ტირილის დროს დიდ ხარჯებს ეწევიან (ეგრეთ წოდებული ქელეხის სახით), რაც ისედაც გაჭირვებულ ოჯახს უფრო ანადგურებს და უმწეოთ ხდის დაშთენილ ოჯახს. საჭიროა სოფლის შეგნებულმა პირებმა მიაქციონ ყურადღება და მოსპონ ქელეხით ტირილი.

რწმუნებული № 40.

ჯავშანანი მატარებელი № 1.

(გაგრძელება)

სადაც გვღამდებოდა, ღამეს იქ ვათენებდით. ამ რიგათ მიუახლოვდით „რაზიეზდ“ ტაშარხს, და 29 მარტს დილის ათ საათზე შევდექით ახლო-მახლო გაშენებულ ერთი სოფელი. აქ ვნახეთ გაჩერებული „ვასილიევის“ მატარებელი, რომელიც ნორაშენში გაეძარცვათ. მატარებელი შესდგება 10 ვაგონებისაგან, რომლებიც საუცხოოთ ყოფილა მორთული, მაგრამ დღეს ისეა გაძარცული მარტო კედლებისა მეტი ღირებული არ დაუტოვებიათ.

ამავე მატარებელზე ყოფილა ცეხგაუზი მილიონ მანეთის ღირებული, რომელიც ძარცველებს გაუტაცნიათ... აქ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი სულ რამოდენიმე წუთის განმავლობაში, რამაც გაკვირვებაში მოიყვანა ყველა ჩვენგანი თანამგზაურნი. მიზეზი მათი ასე სწრაფათ შეკრების ის ყოფილა, რომ ყველა დანარჩენი ოთხი სოფელი აქ შეკრებილა სოფელ ხანუნლიანაში, რადგანაც თათრები დასცემიან სოფელ ეგიჯიდან და სხ. მხრიდან... ამ სოფლისთვის შემოუვლიათ კაცს სიმაღლე თხრილი და აქ იცავენ თავსაც მარტიდან მოკიდებული თათრების შემოსევისაგან. პირდაპირ ბრძოლის ველს წარმოადგენს იქაურობა, მაგრამ ახლა შერიგებული არიან, როგორც გადმოგვცეს, მაგრამ თავისუფლათ გაჩერდა მიმართა მაქოს სარდარს დახმარებისათვის, რომელმაც თავის მხრით გაგზავნა თავისი კაცები ცხენებით და გაამაგრა ხილა თავისი ქალაქი, რათა არავის გაებედა თავდასხმა. მხოლოდ ჩვენ წინადადება მოგვცა თავრიზიდან განკარგულება მაქვს ვასილიევის მატარებელი აქ უნდა იქნას დატოვებული განსაკუთრებულ განკარგულების მოხსენამდეო და მოითხოვა მისი მცველების დაყენება მატარებელზე. მაგრამ მცველების დაყენებაზე უარი უთხრა. დროებით დატოვება გადაწყდა და გავუდექით გზას.

გავაკეთეთ რამდენიმე ხიდები, ამოვიღეთ ერთი ორთქლმავალი და შევედით „რაზიეზდ“ ბაზაში და აქ დავტოვეთ დაშვარი ორთქლმავალი. შემდეგ მივადექით დიდ ხიდს, სადაც ნახიჩევანიდან ექვს ვერსზეა, არის ოთხი ორთქმავალი ერთი ნეიორზე გადაბმული-ჩაცვივნული. დიდის წვალებით როგორც იყო, ერთი ორთქლმავალი გადავგდეთ, რადგანაც ამოღება შეუძლებელი იყო და ის იყო მოვდიოდით უკან ბაბტაბტში, რომ შემოგვარტყეს ალყა მუსულმანებმა და გამოგზავნეს დელეგატები, მათში იყო სპარსელ ქურჯების წარმომადგენელიც.

იმათ გვეკანით ჩვენი მიზანი და მათაც მოსწონეს ალყა და წავიდენ. მხოლოდ ეს კი გვითხრეს: „თუ სომხების დასახმარებლათ არ მიდიხართ, რატომ სომხები წამოგიყვანიათო“, ამაზე ჩვენ საბუთებით ხელში დავუმტკიცეთ, რომ მუსულმანები შეიარაღებულებიც მოგვყავდა და სომხები, დელეგატს გარდა, არაფინ. რაც დაამოწმა იქვე ჩვენთან მყოფმა მუსულმანმა მუშებმა და დელეგატებმა. ამის შე დეგ გაიწვიეს დელეგატი ვეზიროვი და ოალაცას ელაპარაკებოდენ: მე თუმცა მოშორებული ვიყავი, მაგრამ შევნიშნ , რომ ვეზიროვი აღელდა. შემდეგ შეეკითხ მას: რა დაგემართა, რათ მოიქეცი ასე მეუჩი, მიპასუხა: „მითხრეს, სომეხი დაიჭირეთ და რა ვუყოთო! მეც ვუთხარ: რა უნდა უყოთ, გაუშვითო. ამაზე მიპასუხეს: შენ ან სომეხი ხარ ან სომხების მოსყიდულიო და ამან ძლიერ ცოდათ იმოქმედა ჩემზეო“. ეს ფაქტი საჭიროა იმის დასახასიათებლათ, თუ რამდენათ გამწვავებულია თათარ- ომეხ ა შორის დამოკიდებულება.

ამის შემდეგ გამოვბრუნდით ბაბტაბტში... ღამის 1 საათი იქნებოდა მოგვიდა წერილი, მაქოს რკინის გზის უფროსიდან: „მოვიდა დელეგატები ნახიჩევანიდან და დილას არ გახვიდეთ ისე, თუ არ მოვილაპარაკებთ დელეგატებთანო“.

შევიკრიბეთ დილას და გამოირკვა, რომ ნახჩევნი ან მოსული კი არა იგივე პირები იყვნენ, რომლებიც წინა დღით იყვენ ჩვენთან, აგენტმა განაცხადა: გუშინ თქვენ წამოგიყვანიათ სომხები, რომლებიც შევიდენ თუ არა თავიანთ სოფელში გაავრცელეს ხმები „ბრანევიკი“ ჩვენდა (სომხების) დასახმარებლათ მოვიდა. ამის გამო წამამამებული სომხები გამოვიდენ ჩვენს წინააღმდეგ და ბრძოლა იყო გუშინ თქვენი წამოსვლის შემდეგ, ამიტომ გთხოვთ „ბრანევიკით“ ნუ წახვალთ იქით, თორემ ხმები ასეა ვავრცელებული, როგორც მოგახსენეთ და ამიტომ მუსულმანები არ გაგიშვებენ, გზებს აგიყრიან და ამიტომ დღეს დარჩით აქეთო. ა ე გვირჩევდა მაქოს სარდარის წარმომადგენელი კერბალაი ხანიც. და შეგვპირდა, რომ ჩვენც მივიღებთ ზომებს, რათა ვაცნობოთ ხალხს, რომ ეს პროვაკაციული ხმებია და ვიებულობ თავის თავზე ახრანაც მოგცეთ და უბრუნველგყოთ თუ „ბრანევიკს“ არ წაიყვანთ. ორთქლმავლები, რომ არის ჩაცვივნილი იმას იქითო“. ამ წინადადებას დავეთანხმეთ მხოლოდ ერთი დღე გაგვიცდინა. 1 აპრილს გავუდექით გზას, გავიარეთ რამოდენიმე ვერსი შახტახტიდან და ვნახეთ, რომ ჩვენი გაკეთებული ხიდი ისევ დაეწვათ. ამიტომ მოვბრუნდით შახტახტში—მოვახდინეთ კრება. ჯავშნიანი მატარებლის ბრიგადის, რომელზეც ორის წინააღმდეგ გადწყდა: რადგანაც იმ პროვაკაციული ხმების გავრცელების გამო, ვითომც სომხების დასახმარებლათ მივდიოდეთ, მოსალოდნელია, მრავალი ხიდეები იყოს გადამწვარი—და ესეც რომ არ იყოს, იმ ორთქლმავლების ამოღებას და გაკეთებას, რომელიც უკვე ვიცით მოუნდება არა ნაკლები ერთი კვირისა, და რადგანაც მემანქანე კატეგორიულათ აცხადებს, რომ ორთქლმავალი თვენახევრის გაურეცხლია და ვერ ეძლებს ოთხი დღის მეტს მუშაობასო, ამიტომ წავიყვანოთ შახტახტში დარჩენილი ხალხი და გავბრუნდეთ უკან“.

ეს დადგენილება ეცნობა მაქოს რკინის გზის უფროსს სვისჩევსკის, რომელმაც საჩქარო განკარგულება მოახდინა, რათა სოფლებიდან გადმოსულიყვენ და მოთავსებულიყვენ ვაგონებში—მხოლოდ დიდი დავა გამოიწვია „ვასილიევის“ მატარებელმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს მატარებელი დგას აქ ორი ორთქლმავალით, რომელზეც თითქმის ყველა ერთხმათ იმეორებს: „ეს მატარებელი ნაპარევათ მიყოდული აქვს სპარსეთის მთავრობასო“. ამის საბაბს იძლევა ის გარემოებაც, რომ ვასილაევს მიუკრავს შუბლზე სპარსეთის ღერბი და უწოდებს თავის თავს თავრიზის რკინის გზის უფროსს; როდესაც ეკითხებით გიპასუხებს ერთს—და მოქმედებს სხვას.

თავის სურვილების განსახორციელებლათ იხმარებს სპარსეთის მთავრობას მაქოს სარდარის წარმომადგენლის კერბალაი ხანის პირით. ამიტომ ამხანაგების საგრძნობი ნაწილი წინააღმდეგი იყო ამ მატარებლის დატოვების, მაგრამ შემდეგ, რაკი სპარსეთის მთავრობის სახელით სარდარმა მოითხოვა ამ მატარებლის იქ დატოვება—და ამავე დროს მაქოს რკინის გზის წარმომადგენლები ინჟინერი ჩხეიძე, ბარკალაია, პრინცი პავიზ მირზა მოითხოვდენ: „რადგანაც ჩვენ მაქოს სარდარმა შეგვინახა დღემდე და დიდათ დავალებული ვართ მისგან და ამავე დროს თვით გვპირდება თავისი ჯარისკაცებით უშიშრათ გაცილებას და რომ ეს მატარებელი ძალით წავიღოთ, უკათოთ მოუვება სისხლის ღვრაო, აიტომ ჩვენ მოვითხოვთ ეს მატარებელი დარჩეს აქ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით ჩვენც აქვე დავრჩეთო“. დიდი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: რადგანაც ჯულფა მაქოს თავრიზის რკინის გზის მოსამსახურენი და სხვა მრავალი ხალხია ჯულფაში დარჩენილი, რომელიც ჩვენ უნდა გამოგვიყვანა, ამიტომ დარჩეს ეს მატარებელი იმ მოსამსახურეების გამოსაყვანათ და ეთხოვოს მაქოს სარდარს გაგვიწოს დახმარება ამ მიზნის შესრულებაში. სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელს გავაცნეთ ეს რეზოლიუცია, რაზედაც მადლობა გვითხრა და შეგვპირდა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა—და დასძინა, რომ, რადგანაც ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ ვიცავდით მაქოს გზის მოსამსახურეებს, ამიტომ ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია ასე უვნებლათ გავაცილოთ ჩვენი სტუმრებიო და დღეც დაგვინიშნა, სამ აპრილს დილის რვა საათზე გავიდეთო.

ამის შემდეგ ყველას სიამოვნების და სიხარულის ღიმი უკრთის სახეზე და მოუთმენლათ ველით დანიშნულ დროს...

შემდეგ დავთვალიერეთ შახტახტი. ეოხრებული მანქანების, მატორების და გადამწვარ საქონლის საწყობების შეიდვა გულს გიკლავს, მრავალი მილიონის სიმდიდრეა განადგურებული. პირველათ აქაურ სიმდიდრის დაწვა და დატაცება დაუწყია 66 დივიზიას და შემდეგ ვინც წაახელებდა და წაახელებს, იტაცებენ ყოველივეს, რის წაღებაც კი შეუძლიათ თუ გინდ ეს მათთვის უსარგებლო იყოს. მაგალითათ მიაქვთ ამა თუ იმ მანქანის ესა თუ ის ვინტები, რომლის მოძრობა და წაღება შეუძლიათ.

აუარებელი სიმდიდრე არის შახტახტში მაქოს რკინის გზის 1500 ვაგონი, ასობით ორთქმავალები, ათი-ათას ფუთობით მაზუთი და სხვა, რომელსაც უსათუოთ განადგურება მოელის, თუ არ იქნა რაიმე ზომები მიღებული.

მოადწია ჩვენი წამოსვლის დროც, მაგრამ ამ დროს შემოვიდა თფილისიდან დელეგატებით მატარებელი, რომელსაც ჩამოყვა პრინც. მამედი და ინჟინერი—მარკოვი, რომელსაც დავალებული ჰქონია გზის მოძრაობაში მოყვანა. ესენი გამოუშვიათ თაორებს გზაში, იმ პირობით, რომ არავითარი ეშელონები და შეიარაღებული ძალა არ უნდა წამოიყვან წაიყვანოთ. ამ გარემოებამ ისევ შესცვალა თითქოს ერთის მხრით მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ გავაცანით დელეგაციას ის თუ ჩვენ, როგორი პირობით გამოგვიშვა მუსულმანებმა და მივეცით მათ წინადადება, რომ აცნობონ ხალხს ვისაც იმათ ასეთი პირობა მისცა „იარაღით არავის გავატარებთო“, რომ ეს იქნებოდა იმ პირობის დარღვევა, რომელიც პირველათ ჩვენ მოგვცენ და ჩვენ კი ყოვლათ შეუძლებელია იარაღი და ჯავშნიანი მატარებელი აქ დავტოვოთო“. ეს წინადადება მიიღო დელეგატებმა, გაგზავნეს წინდაწინ ცხენოსანი კაცები გზის დასაზვერავათ და ხალხის გასაფრთხილებლათ.

ი. უაპიეშვილი.

(დასასრული იქნება).

მუშათა შორის

შტრეიკბეხერები მოსთხოვეთ მომარიგებელ კამერაში. 11 აპრილს თფ. ცენტრალურ მომრიგებელ კამერაში ირჩეოდა მანდილოსან ფენის სახელოსნოში (ბრა-კერვის) მომუშავე მუშების და ამათ დამქირავებელთა შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი.

გასულ წელს, ზაფხულში, აღნიშნული მუშები წასულან დასასვენებლათ და დაბრუნებისას დამქირავებელს არ დაუშვია სამუშაოდ მუშები. საკითხის ნათლათ გამოსარკვევათ, ცენტრ. მომრიგებელ კამერის თავმჯდომარემ და აგრეთვე წევრებმაც დაუწყეს ჩვენების ჩამორთმევა მოწმეებს ორივე მხრისას.

როდესაც ჯერი მიდგა დამქირავებელის მიერ მოყვანილ მოწმეებისადმი დაკითხვაზე, „პროლეტარი იგლი“-ს პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ:—მუშები რომელიც მოყვანილია მოწმეებათ დამქირავებელ მანდ-ნ ფენის მიერ, ჩვენი კავშირის დადგენილებით „შტრეიკბეხერებათ“ არიან გამოცხადებული და დათხოვნილ მუშების ალაგებიც ბოიკოტს ქვეშ არისო.

კაპიტალის წარმომადგენლებმა არ სცნეს სავალდებულოთ, რომ პროფ. კავშირის გადაწყვეტილება სავალდებულო იყოს მომრიგებელ კამერის წევრთათვის.

შრომის წარმომადგენელებმა მოითხოვეს, რომ აღნიშნული მუშები პროფ. კავშირის მიერ გამოცხადებულია „შტრეიკბეხერებათ“-ო გ-ნ-ზ რებულ იქნენ ამ კონფლიქტის გარ-ვის დროს ჩვენების ჩამორთმევაზეო. კაპიტალის წარმომადგენლები უსაფუძვლოთ სთვლიდენ კავშირის მიერ შტრეიკბეხერობის გამოცხადებას კამერის საქმის მსვლელობაში ხსენებულ მუშებს და მოითხოვდენ ჩვენების ჩამორთმევას. შრომის ერთმა წარმომადგენელმა განცხადება შეიტანა, რომ თუ კამერა დაკითხვას დაუწყებს „შტრეიკბეხერ“ მოწმეებს, ცალკე უთათბიროთ შრომის წარმომადგენლები მათ დაკითხვის დროს დარბაზს დასტოვებენ.

ამ განცხადების შემდეგ კამერის თავმჯდომარემ წევრებითურთ საჭიროთ სცვნეს მეორე ოთახში სათათბიროთ გასვლა. აქაც კამათი გაიმართა.

კაპიტალის წარმომად. ეყრდნობოდენ იმას, რომ საკითხი:—დაზვებულ იქნენ შტრეიკბეხერები მომრიგებელ კამერაში თუ არა, ჯერ არსად არ გადაწყვეტილა, კამერის წესდება საშვალებას გვაძლევს საკითხის გამოსარკვევათ ყოველ მხრით ვისარგებლოთ და პროფ. კავშირის დადგენილება კამერის წევრთათვის არაა სავალდებულო.

აგრეთვე აბობდენ კაპიტალისტების დამცველები, რომ ჩვენ არ ვიცით რამდენათ კანონიერია პროფ. კავშირის მიერ ხსენებული მუშების შტრეიკბეხერებათ გამოცხადება. შრომის წარმომადგენლები ეყრდნობოდენ იმ საბუთს, რომ რადგანაც პროფ. კავშირის მიერ ხსენებული მუშები შტრეიკბეხერებათ არიან გამოცხადებული, ჩვენ მუშები ყოველთვის ვებრძვით მათ კულტურული საშვალებით; ნიადაგ აცლიან პროფ. კავშირს კლასიურ ბრძოლაში, საშვალებას უსპობენ თანამომუშავეთ და პროფესიონალურ კავშირს ცხოვრებაში გაატარონ კანონიერი მოთხოვნა მოპოვებანი; მოვთხოვთ შტრეიკბეხერები არ იქნენ დაშვებული ხსენებულ კონფლიქტის გარჩევაში მოწმეებათ.

კამერამ სცნო შესაძლებლათ, რომ დაკითხულ იქმნენ შტრეიკბეხერები, შრომის წარმომადგენელთათვის განცხადების და მოქმედების უფლების დატოვებით.

ეს გადაწყვეტილება თავმჯდომარემ გაიოსელისათანავე გაცნო ყველას და შრომის ერთმა წარმომადგენელმა განცხადების ნება აიღო, რომელმაც სთქვა:

ჩვენ, მუშათა ინტერესების დამცველნი აქ, კამერაში, ვებულობთ რა მხედველობაში პროფ. კავშირის „პროლეტარი, იგლი“-ს დადგენილებას, რომ ხსენებული მუშები „შტრეიკბეხერებათ“ არიან გამოცხადებული და ჩვენ ყველგან და ყოველთვის ვებრძვით მათ, ჩვენ ვერ ვსცნობთ მათს მოსმენას შესაძლებლად ამ კონფლიქტის გარჩევაში და მათს დაკითხვის დროს დარბაზს ვტოვებთ. ამ განცხადებისთანავე კამერის მუშა-წევრები გავიდნენ, რამაც ტაში გამოიწვია დამსწრე ამხ. მუშებში.

„შტრეიკბეხერების“ დაკითხვის შემდეგ მუშათა წარმომადგენლები შემოვიდნენ და შეუდგნენ კონფლიქტის გარჩევას, რაიც მუშების სასარგებლოთ იქნა გადაწყვეტილი.

ცენტ მომ. კამერის წევრი

ვიქტორ კობახიძე.

წერა-კითხვის საზოგადოება

10 აპრილს, წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში შესდგა ქ. შ. წ. კ. ს. მთავარი გამგეობის წევრთა კრება.

გამგეობამ იქონია მსჯელობა განსვენებულის ნიკო ჯანაშიას ხსოვნის აღნიშვნის შესახებ და დაადგინა: 1) მისცეს განსვენებულის ოჯახს ერთდროული დახმარება 600 მანეთი; 2) გაეგზავნოს სამძიმრის დეპეშა სოხუმის განყოფილების გამგეობას და განსვენებულის ოჯახს; 3) სტიპენდიების განაწილების დროს შეტანილ იქნას სტიპენდიატთა სიაში განსვენებულის ვაჟი, რომელიც ამ ჟამად სწავლობს სოხუმის რეალურ სასწავლებელში, თუ ეს უკანასკნელი განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში; 4) განსვენებულის ქვრივისთვის ყოველწლიური დახმარების დანიშვნის შესახებ გამგეობა იქონიებს ბჭობას შემდეგ კრებაზე. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა: დაიბეჭდოს რაოდენ ხუცაშვილის შრომა კონცენტრიული სახელმძღვანელო ფიზიკისა საშუალო სასწავლებლისათვის. მომოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის წარსული წლის მოქმედების შესახებ და დაადგინა წარუდგინოს საზოგადო კრებას შესაფერისის გ ნჯარტებით.

განიხილა მარტის შემოსავალ-გასავალი. შემოსავალი იყო 204.465—32 კ. გასავალი—197.363—86 კ. 1 აპრილს საზოგადოებას აქვს %% ქაღალდები და ფულად—429.247—04 კ. გამგეობამ განიხილა აგრეთვე სხვა მიმდინარე კითხვებიც.

საალდგომო საჩუქარი ჩვენს ჯარისკაცებს

მე-2 ქართული მსროლელთა დივიზიის უფროსის ცოლი.

მოგიწოდებთ თქვენ, ქართველ ქალებს, მოიგონოთ ჩვენი სამშობლოს დამცველნი და მომავალ დღესასწაულებ-საღამის შეაგროვოთ პოზიციებზე მყოფ მე-2 დივიზიის ნაწილების მხედრებისთვის საალდგომო საჩუქრები.

სასურველია საჩუქრები იგზავნებოდეს პატარ-პატარა პარკებით, ან კოლოფებით, და შიგ ელაგოს: თითო კოლოფი პაპიროსი (25 ცალი), თითო კოლოფი ასანთი, კოკის ძაფი, ნემსი, რამდენიმე ღილი, ერთი ნაჭერი საპონი, ფოსტის ქაღალდი, 2—3 თაბახი და ამდენივე კონვერტი, ცოტაოდენი შინაური ნამცხვარი, ან თეთრი პური, ან გამხმარი პური, ან კულჩი, რაიმე ტკბილეულობა.

თვითოეულ პარკში, ან კოლოფში უნდა იდოს მისამართი შემწირველისა, რომ საჩუქრის მიმღებს საშუალება ჰქონდეს პირადათ მადლობის გადახდისა.

შემოწირულება მიიღება მე-2 ქართულ მსროლელთა დივიზიის შტაბში (მიხეილისა და ბელგიის ქუჩების კუთხე, სახლი სლივიცკისა). აპრილის 18 დ-ნ აპრილის 19 ს დილით საჩუქრები პოზიციებზე გაიგზავნება.

ჩვენს საყვარელს ტოლ მეგობრებს, ქალებს და ბიჭებს!

მალე აღდგომა დაგვიდგება. ჩვენი მამები და უფროსი ძმები ამ ბედნიერ დღეს პოზიციებზე გაატარებენ, ჩვენს დასაცავათ.

სამაგიეროთ, ყოველმა ჩვენთაგანმა საალდგომოთ საჩუქრები მოვუმზადოთ ჩვენს დამცველებს. შეუკეროთ პატარ-პატარა პარკები, ან ვიშოვოთ კოლოფები, ჩავულაგოთ შიგ: ცოტ-ცოტა ნამცხვარი, ან კულჩი, ან თეთრი პური, პატარა ნაჭერი საპონი, რამდენიმე ღილი, თითო კოლოფი პაპიროსი, თითო კოლოფი ასანთი, ნემსი და ძაფი და ვისაც რა უნდა, ან რაც შეუძლიან. პარკებში ჩევალაგოთ ჩვენი მისამართები, რომ ჩვენმა გმირებმა წერილები მოგვწერონ ხოლმე.

საჩუქრები მიიღება მე-2 ქართულ მსროლელთა დივიზიის შტაბში (მიხეილისა და ბელგიის ქუჩების კუთხე, სახლი სლივიცკისა).

მე-2 ქართულ დივიზიის უფროსის შვილები: **კეტინო** და **ელენე**.

ანგარიში

სანაინის რაიონის ორგანიზაციის რუს. ს.-დ. მ. პარტიის 1917 წლისა.

შემოსავალი: ერთდროული გადასახადი 280 მ. 50 კ., შეწირული წევრებისგან 44 მ., საწევრო გადასახადი მთელი 1917 წლის 786 მ. 80 კ, შემოწირული სანაინის აღმასრულებელი რკინის გზის კომიტეტისაგან 80 მ., შემოწირული დროშის შესაძენათ 122 მ. 15 კ., შემოწირული დამფუძნებელი კრების არჩევნების ფონდის სასარგებლოდ 583 მ. 10 კაპ. შემოსავალი არის სულ 1896 მ. 55 კაპ.

გასავალი: ერთი თვის ჯამაგირი პროპაგანდისტს ამხ. აკოპიანცს 125 მ. ოთხი თვის ჯამაგირი პროპაგანდისტს ამხ. ელბაქიანცს 600 მ., ორგანიზაციის ბეჭდები და ქაღალდები 79 მ. 25 კაპ., კიდევ სხვადასხვა ქაღალდები 32 მ. 35 კაპ., ამხ. ელბაქიანცს 1 თვის ჯამაგირი და ხარჯი პეტროგრადში გასაგზავნი დემოკრატიულს სიეზდზე 525 მ., იმასვე თფილისში გასაგზავნი პარტიულ ყრილობაზე 25 მ., გაგზავნეთ საოლქო ბიუროში დამფუძნებელ კრების ფონდისთვის 160 მან., ამხ. ნანეიშვილის სახარჯო ჯალალ-ოღლში გაგზავნისთვის 97 მან. 75 კ, ამხ. ატიანცს იქავე 12 მან., ამხ. ნავროზაშვილს სახარჯო შულავერში გაგზავნისთვის კონვერტებისთვის 10 მ., ამხ. ნანეიშვილს თფილისში საოლქო ბიუროში გაგზავნისთვის 10 მან., ამხ. ინწკირველს იქავე 7 მ., ამხ. ერქომაიშვილს სამჯერ თფილისში წასვლის ხარჯი სამ-სამი დღე 75 მან., მივეცით საწევრო ბილეთების დასაბეჭდი 100 მან. გასავალი არის 1858 მ. 35 კ. სულ იყო 1917 წელში შემოსავალი სხვადასხვა წყაროებიდან 1896 მან. 55 კ. გასავალი 1858 მ. 35 კ. დარჩა პირველი იანვრისთვის 1918 წ. 38 მან. 20 კაპ.

თავმჯდომარე **სილევან ერქომაიშვილი**, მდივანი **ი. ნავროზაშვილი.**

ცნობები

ჯარისკაცთა შესახებ.

ფორტ. ანარიაზე ბრძოლის დროს ქ. ბათუმში მოკლეს პრაპორშჩიკი დათიკო ვანიძე. გვინდა მოვნახოთ მისი საფლავი, როგორც გავიგეთ დაუსაფლავებიათ ამხანაგებს შალვა შავგულიძეს და ილია ხარაძეს გთხოვთ ვინც იცით მათი ადრესი საჩქაროთ აცნობოთ ერთობის რედაქციაში.

ფონდი

მივიღეთ არშაკ როსტომაშვილისაგან „ერთობის“ ფონდის სასარგებლოთ 10 მან.

დავკარგე

11 აპრილს სალდათის ბაზარში (იარმუკა) რედიკული, რომელშიაც მქონდა ას ორი ძანეთი და ათი შაური (102 მ. 50 კაპ.), ს.-დ. პატიის საწევრო წიგნაკი, ექვსი თვის გადახდილი მარკებით, სასახლეში შესასვლელი ბარათი, ხელმოწერილი სასახლ. ზედამხედველის თანაშემწის და თიკო კაჩაურის და სასახლის კომენდატის დ. ქარცივაძის მიერ უბის წიგნაკი, სხვადასხვა კვიტანციებით და ქალის პატარა საფულე. მპოვნელს უმორჩილესათ ვთხოვ ფული დაიტოვოს და დანარჩენი; განსაკუთრებით წიგნაკები დამიბრუნოს ამ მისამართით: ვერის ს.-დ. კლუბში, ან და გაზეთ „ერთობის“ რედაქციაში გოლოვინის პროსპექტი № 12, სოფო ივანიძესთვის.

(1—1)

დავკარგე

თფილისის სადგურზე საფულე, რომელშიაც იყო 45 მანეთი ფულათ და მოწმობა ნავთლულის განმანაწილებელ პუნქტის კანცელარიისაგან მოცემული, ბესარიონ ნეფარიძეს სახელზე ამოწერილი. მპოვნელს ვსთხოვთ ფული და საფულე დაიტოვოს, ხოლო მოწმობა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: Навтлуъ, Распорядительный пунктъ, бельевое отдѣленіе Виссаріону Непаридзе.

(1—1)

ექიმი გ. მ. მუსაძე

იღებს საფოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთაწმინდის ქუჩა № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან სამაგვარო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. **უფასოთ** იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი ესი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქროონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. ბორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიეზდის ქუჩა, № 19.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავათმყოფთათვის

ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს **კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით**

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარ ბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ.

(24—16)

ექიმი

ნ. ი. მახვილაური

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი

ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი

გ. დონხინი

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. **მიხეილის პრ., 76,** (ხაიკინის კბილის საექიმო).

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელია

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეზბაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ალექსიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელ. 15—00.

ექიმი ქალი

რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუ. ნა. სახლი № 82.

მუშტაიდის დემოკრატიული კლუბი.

კვირას, 15 აპრილს

გურიის დამხმარე კომიტეტის

ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური

საღამო.

I **ალ. ლომთათიძე** წარმოსთქვამს მოწოდებითი სიტყვას.

II და III **დრამატიული გაართობელება.**

წარმოდგენილი იქნება **მაღაროს უფროსი მუშა**

ნათარგმნი გოცირიძესი.

მონაწილეობენ: ქ-ნი გოგოლაშვილი, რომანიშვილი, მეტრეველი, ჭანკვეტაძე, მინდიაშვილი და სხვ.

IV. **ლიტერატურულ მუსიკალური განყოფილება:**

მონაწილეობენ: ვ. რუხაძე, გ. გუჩიშვილი, ობოლი მუშა, ვ. ტუქსიშვილი, დ. მეჩონგური, გენო, „ვოვა“, რ. ჯიბილა და სხვ.

იმღერეგს გურულეგის გუნდი.

ანტრაკტებზე დაუკრავს მუსიკა. დასაწყისი საღამოს 6 ნახ. საათზე.

ბილითები გაიყიდება კანტორა „განათლებაში“ და კლუბის კასაში კვირას 12 საათიდან.

გამგე კომისია.

(2—1)

ქართული დრამატიული საზოგადოება

ყველა იმათ, ვინც ჩაეწერენ ქართულ დრამ. საზოგადოებაში, **განურჩევლათ იმისა, მიიღეს თუ არა დასაპატიჟებელი ბარათები,** ვთხოვთ მობრძანდენ ზუბალაშვილის სახალხო სახლის თეატრში, **შაბათს, 14 აპრილს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. ვინც ამ დროისათვის არ გამოცხადდება, იმათ გამოსაცდელი წარმოდგენა არ დაენიშნებათ.**

ქართული დრამატიული საზოგადოების **გამგეობა.**

(1—1)

თფილისის სახელოსნოს შემნახველ-გამ. ესხებ. ამხანაგობის **მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა** ამით აცნობებს თავის წევრებს, რომ **კვირას, 15 აპრილს** დილის 10 საათზე სახელოსნოს მმართველობის შენობაში **დანიშნულია საზოგადოების წევრთა**

საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) 1917 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება,
2) 1918 წლ. ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.
3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
4) მიმდინარე საქმენი.

(1—1)

კვირას, 15 აპრილს, საღამოს 5 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (მიხაილოვის ქუჩა № 91) შესდგება **რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის** წევრთა

საზოგადო კრება

დღის წესრიგი—მიმდინარე მომენტი და სხვა. მომხსენებელი ამხ. **ირ. წერეთელი.**

(2—1)

კვირას, 15 აპრილს დილის 10 საათზე

პუშკინის სახელობის შენობაში (მე-6 სამილ. უბანი, ხარფუხი) **დანიშნულია** მე 6 **რაიონის** სოც.-დემ. **პარტიის** წევრთა

საერთო კრება

განსახილველი საკითხი: ომი და ამიერ-კავკასიის **დამოუკიდებლობა.**

სტამბა-ბიბლიოთეკა სტამბა ბუსლაევისა. ტფილისი, № 1.